ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ქართულ პოლიტიკას უცხოური კაპიტალი შემოაკლდა

გვ.4

ორშაბათი, 15 აგვისტო, 2016 №192 (7118) ფასი: 50 თეთრი

„დასავლეთმა შესაძლოა სააკაშვილი საქართველოში დაბრუნოს“

ზაალ კასრელიშვილი: „ივანიშვილი „ქართულ ოცნებას“ მთლიანად გაემიჯნა

გვ.2

„ქართულმა ოცნებამ“ აჭარაში მაჟორიტარებად ყოფილი ნაციონალები წარადგინა

გვ.4

„რევოლუციური პროექტი“ — როგორ შეიქმნა პირველი კერძო ოპერატორი საქართველოში

ახალი ქსელები

„ახალი ქსელები“ 20 წლისაა

გვ.5

ბაჩუკი ქარდავა: „ქვეყნის საგარეო კურსი კონსტიტუციაში უნდა იყოს გაწერილი“

გვ.3

მამუკა გვაძაბია: „შევარდნაძეს ჯარი რომ არ შეეყვანა, აფხაზეთს არ დავკარგავდით“

გვ.6

გიორგი კვირიკაშვილი: „მთავრობა ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას არ დაუშვებს“

გვ.6

ISSN 1987-9385

ერთ კვირაში კახეთში სამი მკვლელობა მოხდა

გვ.6

„დასავლეთმა შესაძლოა სააკაშვილი საქართველოში დააბრუნოს“

ზაალ კასრელიშვილი: „ივანიშვილი „ქართულ ოცნებას“ მთლიანად გაემიჯნა

შორენა მარსაგიშვილი

რა გავლენას მოახდენს ქართულ პოლიტიკაზე რუსეთ-თურქეთის დაზავება, რომელ პარტიებს ლობირებენ მოსკოვი და ანკარა, რა პროცესები გველოდება არჩევნების შემდეგ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– ბატონო ზაალ, ყველა ელოდა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყებოდა. ომის დაწყების ნაცვლად დაზავდნენ. რას უნდა ველოდოთ ამის შემდეგ?

– რუსეთსა და თურქეთს შორის დაზავება კავკასიისთვის სიკეთის მომტანი არასდროს ყოფილა. იმედი მაქვს, ახლაც იგივე არ გამეორდება. მართალია, დაზავდნენ, მაგრამ ორივე ქვეყანა შეეცდება, საქართველოსა და აზერბაიჯანზე სერიოზული გავლენები მოიპოვონ.

რუსეთისა და თურქეთის დაზავება, კავკასიის გარდა, ევროპასაც შეუქმნის პრობლემებს. შესაძლოა, დროში კიდევ უფრო გაჭიანურდეს შაჰდენიზის პროექტის დასრულება, რომლითაც ევროპა-რუსეთის გვერდის ავლით შეძლებდა ბუნებრივი აირის მიღებას.

ეს პროექტი თურქეთმა ისედაც გააჭიანურა. მას შემდეგ, რაც რუსეთთან ურთიერთობა გაუფუჭდათ, ერდოღანმა განაცხადა, რომ შაჰდენიზის პროექტი 2018 წლისთვის დასრულდებოდა. ახლა ეს საკითხი ისევ ჰაერში რჩება და ევროპა იძულებული გახდება, ისევ რუსულ გაზზე იყოს დამოკიდებული.

– მათი დაზავება საქართველოზე გამავალ ენერგოპროექტებს ხელს არ შეუშლის?

– როგორ არ შეუშლის. ახლა საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ქვეყანამ აქტუალობა არ დაკარგოს. ევროპას არანაირად არ აწყობს, რუსულ გაზზე იყოს დამოკიდებული.

– თქვენი აზრით, შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას ამის გაკეთება?

– დამოუკიდებლად ვერაფერს გახდება საქართველო, დასავლეთის მხარდაჭერაც საჭირო იქნება. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან არანაირი ნაბიჯი არ არის გადადგმული.

ჩვენს ხელისუფლებას თურქეთსა და რუსეთს შორის დაწყებულ მოლაპარაკებებზეც კი არ გაუკეთებია კომენტარი. არადა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამისთვის არსებობს. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რას ფიქრობს ხელისუფლება ამ პროცესებზე.

– თქვენი აზრით, რუსეთისა და თურქეთის სიამტკბილობა სადამდე გასტანს?

– უახლოეს მომავალში ისინი ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. ახლა თურქეთსა და რუსეთს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა სჭირდებათ. ეს, პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობის გულის მოსაგებად უნდათ. რუსეთი დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების გამო ისედაც შავ დღეშია და ამ ფონზე თურქეთთან კონფრონტაცია არაფერში სჭირდება.

დასავლეთთან ღიად არის დაპირისპირებული თურქეთიც. ამ მხრივ მისთვის იდეალური მოკავშირე რუსეთია. უახლოეს მომავალში მათი ანტიდასავლური რიტორიკა კიდევ უფრო გაძლიერდება. ეს თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია ამერიკაში მიმდინარე პროცესებზე. რამდენიმე თვეში იქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ამერიკელები ახლა არჩევნებზე არიან გადართული და სხვა პროცესებისთვის არ სცხელათ.

– რამდენად შორს შეიძლება წავიდეს რუსულ-თურქული ანტისავალური კოალიცია?

– თურქეთმა უკვე წამოუყენა ევროპას პირობები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი თურქეთს უვიზო მიმოსვლას არ დაუწესებენ, ერდოღანი მიგრანტების შეკავებაზე უარს იტყვის. მიგრანტების თვალსაზრისით ევროპაში ისედაც ძალიან რთული ვითარება შეიქმნა. არაა გამორიცხული, დასავლეთს რაღაც დათმობაზე წასვლა მოუხდეს, მათ შორის რუსეთთანაც.

– არის იმის შანსი, რომ დასავლეთმა რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მოხსნას ან შეარბილოს?

– მას შემდეგ, რაც ანკარა და მოსკოვი დაზავდნენ, ბევრი რამე შეიცვალა. გამორიცხული არაფერი არ არის. თუ მანამდე ამ ორ ქვეყანას შორის ვითარება ისევ არ გამწვავდა, როგორც

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გიორგი კვირიკაშვილი: „სტაბილურობა თუ გვინდა, ყველა მეზობელთან მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა გვქონდეს“

– საქართველოში სტაბილურობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩვენ არ გვექნება ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა ჩვენს მეზობელთან, მათ შორის, რა თქმა უნდა რუსეთთან, – განაცხადა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბათუმში პარტიის აჭარის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისას.

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, იმისთვის, რომ აჭარამ საკუთარი დიდება დაიბრუნოს, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის, საქართველოში უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხოება.

– იმისათვის, რომ ჩვენ ამას ყველაფერს მივაღწიოთ, ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოება და ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამ მიმართულებით საამაყო. ჩვენ შევძელით, გონივრული პოლიტიკით ერთის მხრივ შეგვენარჩუნებინა ჩვენი თანმიმდევრული სვლა ევროპისკენ და ევროატლანტიკური ოჯახისკენ და, მეორე მხრივ, შევძელით, რომ დაგვეწია დაძაბულობა რეგიონში, ჩვენს სამეზობლოში. საქართველოში სტაბილურობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩვენ არ გვექნება ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობა ყველა ჩვენს მეზობელთან, მათ შორის რა თქმა უნდა რუსეთთან. ეს აუცილებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ეს არ მოხდება საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე. ჩვენ ნამდვილად ვართ ის მთავრობა, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საკითხს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესია.

– ჩვენ გვიახლოვდება საპარლამენტო არჩევნები, როდესაც ქართველმა ხალხმა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ უნდა გააკეთოს საკუთარი ბრძნული არჩევანი – რა გზას ვირჩევთ ჩვენ? ვირჩევთ გზას, რომელიც სწრაფ განვითარებას იძლევა, რომელიც თითოეულ ოჯახში მოიტანს კეთილდღეობას და რომელიც ადამიანის უფლებებს აყენებს როგორც უზენაესს, ჩვენი მომავალი ნაბიჯების მთლიან სპექტრში, თუ ჩვენ ვირჩევთ სხვა გზას?! მე მგონია, აქ კითხვის ნიშანი არ არსებობს, – განაცხადა კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი ალასანია: „დღეს მთავარი ამოცანა კონფლიქტის განუახლებლობაა“

– მთავარი ამოცანა კონფლიქტის განუახლებლობაა, – აცხადებს თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია, რომელიც აფხაზეთის ომის დაწყებიდან 24 წლისთავს ეხმაურება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ალასანია განცხადებას ავრცელებს, რომელსაც ინტერპრესნიუსი უცვლელად გთავაზობთ:

– 14 აგვისტო ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი თარიღია. 1992 წელს დაწყებული ომი, რომელმაც 13 თვეს გასტანა, საქართველო და აფხაზეთი 24 წლით ჩამოაშორა ერთმანეთს. დღეს მთავარი ამოცანა კონფლიქტის განუახლებლობაა. უნდა დავიწყოთ ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენისთვის დაუღალავი შრომა. უნდა განახლდეს შეხვედრები, სადაც პოლიტიკური საკითხები კი არ განიხილება, არამედ ევროკავშირთან ერთად ვიმუშავებთ ერთობლივ სავაჭრო-ეკონომიკურ-საკომუნიკაციო და ჰუმანიტარული სახის პროექტებზე.

მთავარია, როგორმე ადამიანურ დონეზე აღდგეს ურთიერთობები. უნდა შევინარჩუნოთ თითოეული ის პირადი კონტაქტი, რაც აფხაზებთან თუ ოსებთან რიგით მოქალაქეებს გაგვაჩნია. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ ვაკვირდებით მოვლენებს და მხოლოდ მოლაპარაკებების გზით ვაპირებთ ამ პრობლემების დარეგულირებაზე ზრუნვას.

არანაირი საერთაშორისო სამართლებრივი ღირებულება არანაირ აქტს, რომელსაც მიიღებს არაღიარებული ქვეყნის პარლამენტი, ჩვენთვის არ აქვს. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია ისევე, როგორც ცხინვალი. განსაკუთრებით მინდა მივმართო აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილ ქართველებს და ზოგადად, ჩვენს მოქალაქეებს – მომავლის რწმენა, ისტორიული მრავალათასწლოვანი გამოცდილება გვეუბნება იმას, რომ ჩვენ აუცილებლად ფეხზე დავდგებით და ჩვენი ტერიტორიის სხეულს გავამთლიანებთ. ეს გარდაუვალია, მაგრამ ამას, ბუნებრივია, უდიდესი სიმტკიცე სჭირდება, რის მაგალითსაც ამ კედელზე ჩვენი გმირების გვარები კიდევ ერთხელ გვახსენებს, – აცხადებს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

ინტერპრესნიუსი

ცესკომ 7 პარტია რეგისტრაციაში არ გაატარა

ცესკოში 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პოლიტიკურ გაერთიანებათა რეგისტრაციის პროცესი სრულდება. 14 აგვისტოს მდგომარეობით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის თხოვნით 64-მა პარტიამ მიმართა.

ცესკომ რეგისტრაციაში 41 პარტია გაატარა, 16 რეგისტრაციის პროცესშია, ხოლო 7 პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, მათ შორის არიან: პ/გ გაერთიანებული საქართველოს დემოკრატიული პარტია, პ/გ ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა მამულიშვილი, პ/გ სამართლიანი საქართველოსთვის, პ/გ პარტია სამშობლო, პ/გ ხმა დედის და ხმა ერის, პ/გ ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განმარტებით ამ პოლიტიკურმა სუბიექტებმა ვერ შეძლეს ცესკოში წარმოედგინათ მხარდამჭერთა სიები. რაც შეეხება დემოკრატიულ საქართველოს, მას იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია არ ჰქონდა გავლილი.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბაჩუკი ქარდავა: „ქვეყნის საგარეო კურსი კონსტიტუციაში უნდა იყოს გაწერილი“

ნათია ხურცილავა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ უბლოკო სტატუსი და ე.წ. ნეიტრალიტეტი ქვეყანას დაღუპავს.

– ბატონო ბაჩუკი, ქვეყნის უბლოკო სტატუსი, რომელზეც ნინო ბურჯანაძე საუბრობს, პოლიტიკოსთან ნაწილის შეფასებით, წინასაარჩევნო ტრიუკია. მეორე ნაწილი მასში საფრთხეს ხედავს. თქვენი პოზიცია როგორია?

– ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებ იმ პოზიციას, რომ უბლოკო სტატუსი, ე.წ. ნეიტრალიტეტი და ა.შ. მხოლოდ წინასაარჩევნო ტრიუკია. წინასაარჩევნოდ, ბუნებრივია, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის კონკურენციაა და ვინ რას მოიფიქრებს და რას შესთავაზებს ამომრჩეველს, ეს არის ერთგვარი შეჯიბრება, მაგრამ არამცდაარმც ეს არ უკავშირდება ქვეყნის საგარეო ორიენტაციასა და მის უსაფრთხოებას.

შეიძლება რუსეთის ორბიტაზე მყოფმა პოლიტიკურმა ძალებმა ამ გზით ის მცირეოდენი ამომრჩეველი, რომელიც სწორედ რუსეთზეა ორიენტირებული, ერთმანეთს წაართვას და სწორედ ამაზე იყოს გათვლა, მაგრამ აქ მთავარია, რომ ნინო ბურჯანაძესა და მის პოლიტიკურ ორგანიზაციას ყოველთვის ჰქონდა რუსეთთან თანხვედრილი პოზიცია.

– პარლამენტის თავმჯდომარე საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით გამოდის სწორედ ამ საკითხზე. ფიქრობთ, საკონსტიტუციო რეგულირება სჭირდება ამ საკითხს?

– მაღლობა ღმერთს, საქართველოში ძალიან ბევრი პროდასავლური პოლიტიკური ორგანიზაციაა და არც ისეა საქმე, რომ რუსეთუმე პოლიტიკოსებმა წალეკონ ქვეყანა, მით უფრო, საქართველოს მოქალაქეებს თავიანთი არჩევანი პროდასავლური მიმართულებით კარგა ხნით ადრე აქვთ გაკეთებული, ვიდრე ეს პოლიტიკოსები გაჩნდებოდნენ. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ქართველ საზოგადოებაში პროდასავლური, ევროპული განწყობები აშკარად ჭარბობს. ეს კარგად იციან პოლიტიკურმა ძალებმა და სწორედ პროდასავლური ძალები ცდილობენ ამ კუთხით ამომრჩევლის მიმხრობას, რაც სულაც არ არის გასაკვირი. პროდასავლურ ორბიტაზე მყოფი პოლიტიკური ძალები ცდილობენ ამ ელექტორატის მიზიდვას, მიზიდვას თუ ვერა, ყურადღების მიპყრობას მაინც.

– ამ პროცესს ვადევნებთ თვალყურს, თუ საფრთხე რეალურია და მას საკონსტიტუციო გარანტიები სჭირდება, თუ შეიძლება ასე ითქვას?

– მე არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საკონსტიტუციო დონეზე განისაზღვროს, თუმცა მიმაჩნია, რომ მხოლოდ პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა არ იქნება გარანტი.

– რა არის მაშინ გარანტი?

– თავად საზოგადოება, საზოგადოების განწყობა, რომ ქვეყნის განვითარება მოხდეს სწორედ ამ მიმართულებით და არა სხვა, რუსული მიმართულებით, რომელიც ნამდვილად დაღუპავს ჩვენს ქვეყანას. მე ვთვლი, რომ ცუდი არაფერი იქნება იმაში, თუ კონსტიტუციაში იქნება გაწერილი ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსი და ორიენტაცია. ნატო, ევროატლანტიკური მიმართულება, დასავლური ცივილიზაცია მხოლოდ უსაფრთხოება ხომ არ არის. ცხადია, მასთან ერთად ეს არის დემოკრატიული ფასეულობები. ქართველ ერს ევროპული, დასავლური ცივილიზაცია მტერმა, რუსეთმა იძულებით დაატოვებინა. ეს არ იყო მისი არჩევანი.

დღეს ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ საკმაოდ სოლიდური პროდასავლური ელექტორატი არსებობს და მას საკმაოდ ბევრად ჩამორჩება პრორუსული ელექტორატი.

– ამ ნიშნით პოლიტიკური ძალები დაქსაქსულები არიან და, ალბათ, ერთმანეთს წაართმევენ ელექტორატს.

– დიახ, მაგრამ ამომრჩევლის რაღაც ნაწილში არჩევანი ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე გაკეთდება. ამდენად, საგარეო კურსი ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა. თუმცა, ამომრჩეველი მაინც არჩევანს სოციალური პროექტებიდან გამომდინარე აკეთებს. ამომრჩეველს დღეს აინტერესებს, იყოს დასაქმებული, ჰქონდეს მაღალი პენსია. მის პირად პრობლემებზე ორიენტირებულ ძალას დაუჭერს მხარს. თუმცა, ბუნებრივია საგარეო კურსი და ქვეყნის უსაფრთხოება პრიორიტეტი იქნება. მე ვისურვებდი, რომ გარკვეულწილად იდეოლოგიურ საფუძვლებზე ჩამოყალიბებულიყო პოლიტიკური ერთობა. ბუნებრივია, ასეთი ერთობა ბევრად უფრო მყარია, ვიდრე ამორფული და სხვადასხვა იდეოლოგიისა და ხედვის მქონე ძალთა ერთობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რთულად მისაღწევია ჩვენს რეალობაში. თუ პროდასავლური ძალები ერთიანი ფრონტით გავლენ ბრძოლის ველზე, ბუნებრივია, გარანტირებულ გამარჯვებასაც მოიპოვებენ და ეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ნამდვილად იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი. ასეთი ერთობა დღეს არ არსებობს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში მეტი წილი მაინც პროდასავლური პარტია იქნება წარმოდგენილი.

„დასავლეთმა შესაძლოა სააკაშვილი საქართველოში დააბრუნოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

უკვე გითხარით, უახლოეს მომავალში ისინი ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან, მაგრამ მომავალში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს.

– რატომ გგონიათ, რომ ისინი ისევ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს?

– მოდით, იმით დავიწყოთ, რომ ეს ქვეყნები ჯერ საბოლოოდ არ შერიგებულან. მათ პრობლემების მოსაგვარებლად რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს მხოლოდ. დასავლეთისთვის პრობლემების შესაქმნელად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. სრულ შერიგებამდე მოსკოვსა და ანკარას ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯი აშორებს.

თურქეთისა და რუსეთის დიდი ხნით დაზავების კიდევ იმიტომ არ მჯერა, რომ ორივე ქვეყანა ერთმანეთის მსგავსია. ორივეს იმპერიული ამბიციები აწუხებს და ორივე ქვეყნის ლიდერი არაადეკვატურია. პუტინისა და ერდოღანის ამბიციებს შესაძლოა ძალიან მალე მოჰყვეს ვითარების გამწვავება.

მათ შორის ვითარების გამწვავების მიზეზი შესაძლოა კავკასიაც გახდეს. რუსეთიც და თურქეთიც ამ რეგიონზე გავლენების მოსაპოვებლად ძალ-ღონეს არ იშურებენ. შესაძლოა, ყველაფერი მშვიდობიანად გადაინაწილონ. შესაძლოა, პირიქით მოხდეს. ჩვენ ყველა სცენარისთვის მზად უნდა ვიყოთ.

– ვართ მზად?

– ჩვენ ვართ მზად და ისიც ვიცით, რა დროს რა უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ხელისუფლებაზე იმავეს ვერ ვიტყვით. სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ყველაფერს არასერიოზულად უყურებს. ისინი მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე ფიქრობენ.

– მას შემდეგ, რაც პუტინმა ერდოღანთან ზავი შეკრა, უკრაინის მიმართულებით ისევ გამწვავდა ვითარება. თქვენი აზრით, დაიწყებს მოსკოვი უკრაინის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს? და არის თუ არა პუტინის ეს ნაბიჯი ანკარასთან დაზავების გამოძახილი?

– უკრაინასთან ვითარების გამწვავება პირდაპირ კავშირშია თურქეთთან დაზავებასთან. რუსეთი შესაძლოა აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთოს. მოსკოვმა თავის პოტენციურ მოწინააღმდეგესთან ამ ეტაპზე პრობლემა მოაგვარა და ახლა სხვებისთვის მოიცალა. უკრაინაში ვითარების გამწვავებით ის შეეცდება, დასავლეთზე ზეწოლა განახორციელოს.

– დასავლეთისგან რის მიღებას შეეცდება?

– დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთი ძალიან დაასუსტა. ამიტომ, პირველ რიგში, კრემლი სანქციების მოხსნას მოითხოვს.

– ამას უკვე მეორედ ამბობთ და ასე სერიოზულად არის საქმე?

– ერდოღანი პუტინის დროებითმა ზავმა ბევრი რამე შეცვალა და არაფერი გამორიცხული არ არის.

– თქვით, რომ პირდაპირ კავშირშია თურქეთთან სიტუაციის მოგვარება უკრაინაში ვითარების დაძაბვასთან. ამისგან საქართველო თუ არის დაზღვეული?

– რუსეთს თუ უკრაინაში გაუვა, შემდეგი მისი სამიზნე საქართველო და აზერბაიჯანი იქნება.

– ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი გზის ამოქმედებაზე ალაპარაკდა. პრემიერმა რაჭაში ყოფნისას განაცხადა, რომ მამისონზე გადასასვლელებს გააკეთებენ. ეს, თქვენი აზრით, ნორმალურია?

– რუსეთთან დამატებითი გზა ნამდვილად არ გვჭირდება. ცოტა ხნის წინ საუბარი იყო დაღესტნის მხრიდან გზის მშენებლობაზე. ამ გზის მშენებლობა ახლა შეჩერებულია. რუსებს, ეტყობა, ფული აღარ აქვთ. რაც შეეხება მამისონზე გადასასვლელ გზას, ამაზე ჯერ რაიმე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, კონკრეტულად რა გზაზეა საუბარი. რამდენადაც მე ვიცი, მამისონიდამ გზა როკის გვირაბის მიმართულებით გადადის. როკის გვირაბს კი დღეს სამხრეთ ოსეთი აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, ამ გზის მშენებლობა გაუმართლებელია.

რადგან გზებზე ვსაუბრობთ, კიდევ ერთ საგზაო დანაპირებს შევეხები. გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ იგეგმება ყაზბეგი-ხევსურეთი-თუშეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. ვიღაცებმა ძალიან გაიხარეს, მაგრამ პირადად მე ამას ძალიან პესიმისტურად ვუყურებ.

– პესიმისტურად რატომ?

– საქართველოს ბიუჯეტს ამ გზის გაკეთების სახსრები არა აქვს, არც სათანადო სპეციალისტები გვყავს. თუ ევროპიდან მოიწვევენ სპეციალისტებს და მათ გააკეთებინებენ პროექტს, კიდევ მესმის, მაგრამ ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ რას აპროექტებს. ამასთან, მინდა, ისიც იცოდეს ყველამ, იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს გზა უნდა გააკეთონ, წელიწადის განმავლობაში ლამის 9 თვე თოვლი დევს. ამ გზებზე საუბარი მე მხოლოდ საარჩევნო დაპირება მგონია და მეტი არაფერი.

– გზებიდან ისევ რუსეთ-თურქეთის თემას დავუბრუნდეთ. ზემოთ თქვენ თქვით, რომ ორივე შეეცდება გავლენების მოპოვებას. აქ პრორუსული ძალები ოხრად არიან და ისინი იქნებიან, ალბათ, მოსკოვის დასაყრდენი. ანკარა ვის შეიძლება დაეყრდნოს, არიან საქართველოში პროთურქული ძალები?

– საქართველოში პროთურქული ძალებიც საკმაოდ მრავლად არიან. უბრალოდ, ისინი ამის ხმამაღლა აფიშირებას ერიდებიან. მათ კარგად მოეხსენებათ, რომ ამას საჯაროდ გამხელა ცუდ შედეგს მოუტანს. კონკრეტულ პარტიებსა და პიროვნებებს არ დავასახელებ, მაგრამ, მინდა იცოდეთ, რომ თურქეთს აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონებზე საკმაოდ სერიოზული გავლენა აქვს.

– ეს შემოდგომაზე დაგეგმილი არჩევნების შედეგებზე თუ იქონიებს რაიმე გავლენებს?

– არჩევნებამდეც ბევრი რამე მოხდება. არჩევნების შედეგებზე კი ბევრი რამე იქონიებს გავლენას. რუსებიც შეეცდებიან, რომ პარლამენტში თავიანთი ხალხი გაიყვანონ. საქართველოსთვის ეს არჩევნები ძალიან სერიოზული იქნება.

– თქვით, რომ თურქეთს აჭარაზე აქვს სერიოზული გავლენა. სააკაშვილი არჩევნების დღეს აჭარაში აპირებს შემოსვლას. დაუშვებს ამას თურქეთი? ის ხომ ფათულაჰ გიულენთან დაახლოებულ პირად ითვლება. გიულენის მომხრეებს კი, თავის მხრივ, ერდორანი დევნის.

– ეს ვერსია არაერთხელ მოვისმინე და ძალიან მიკვირს. რატომ ჰგონიათ საქართველოში, რომ სააკაშვილი მხოლოდ გიულენთან არის კავშირში? მას ერდოღანთანაც ძალიან კარგი ურთიერთობები აქვს. და საერთოდ, მე მართლა ვერ ვხვდები, რა განსხვავებაა გიულენისა და ერდოღანის მოძღვრებას შორის. ორივე მათგანის მოძღვრება ერთმანეთს ძალიან წააგავს.

– აქედან გამომდინარე, სააკაშვილი თურქეთიდან უპრობლემოდ შემოვა?

– თუ მოინდომებს, შემოვა. საქართველოს ხელისუფლება კი ბევრს ვერაფერს გახდება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ შეასრულა საარჩევნო დაპირებები. იმის მაგივრად, რომ უკეთესი საქართველო აეშენებინათ, ნაციონალებს ღანძღავდნენ და საკუთარი ცხოვრების მოწყობით იყვნენ დაკავებული. არც დაპირებული ახალი სახეები ჩანს სადმე. უბრალოდ, მოხდა მათი გადაადგილება. ამის შედეგია ის, რომ დღეს ნაციონალურ მოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს იმაზე ბევრად ნაკლები ხალხი აგინებს, ვიდრე 2012 წლის არჩევნებამდე.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მთელი ერის გამარჯვება იყო. ეს გამარჯვება „ქართულმა ოცნებამ“ მიითვისა და უარი თქვა სხვისთვის მის გაყოფაზე. ჰოდა, ახლა ამ პარტიის რამდენიმე ლიდერმა უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება ან მომავალში მოხდება.

– ლიდერებში ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?

– ივანიშვილი აღარ არის „ქართული ოცნების“ ლიდერი. ის ჩამოშორდა პოლიტიკას და ძალიან მალე ამაზე ღია განცხადებებს გააკეთებს. ის აღარც პარტიას აფინანსებს. მისი ხელი აშკარად აკლია პარტიას.

– ივანიშვილის გარეშე „ქართული ოცნება“ რას იზამს?

– ძალიან გაუჭირდებათ და ეს უკვე სახეზეა.

– რაც, ალბათ, სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას გააადვილებს.

– „ქართული ოცნების“ დასუსტება მის შანსებს ზრდის. ამის მიუხედავად, ის საქართველოში 2020 წლამდე ვერ ჩამოვა. ამ დროს იმისთვის გამოიყენებს, რომ „ქართულ ოცნებას“ მთლიანად შეულახოს იმიჯი და მთელ მსოფლიოს დაანახოს, თუ ვინ არის ნამდვილი ლიდერი საქართველოში.

ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. რუსეთ-თურქეთის ომის ნაცვლად მათი დაზავება მივიღეთ. შესაძლებელია, საქართველოში მოვლენებიც სხვანაირად განვითარდეს და დასავლეთმა სააკაშვილის დაბრუნება გადაწყვიტოს.

– რა შემთხვევაში მიიღებს დასავლეთი ამ გადაწყვეტილებას?

– ეს დამოკიდებული იქნება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გაღრმავებაზე. თუ ეს ურთიერთობა ზომაზე მეტად გაღრმავდა, მაშინ დასავლეთი იძულებული გახდება, ამრევის ინსტიტუტი აამოქმედოს.

– და თვლით, რომ არევა ყველაზე უკეთ სააკაშვილს გამოუვა?

– ის ამაში საკმაოდ გამოცდილია, თუმცა, თუ არევის ინსტიტუტი ამოქმედდა, ჩათვალეთ, რომ სხვა ამრევებიც გამოჩნდებიან. შემოდგომაზე ძალიან სერიოზული პროცესები გველოდება. არჩევნები მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი იქნება, მთავარი ამბები კი არჩევნების შემდეგ დაიწყება.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ქართულ პოლიტიკას უცხოური კაპიტალი შემოაკლდა

სოსო ზაალიშვილი

საქართველოში საარჩევნო პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა. ახალი და ძველი პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლის საკუთარი პოზიციებით დაინტერესებას ცდილობენ. დაპირებები, რომლებსაც პარტიები გასცემენ, ხშირ შემთხვევაში რეალობას მოკლებულია.

პარტიებმა საკუთარი ამომრჩევლის მოძიების პროცესში საზოგადოება რამდენიმე ნაწილად დაყვეს. გამომდინარე მათი პოლიტიკური გემოვნებიდან, საკუთარ ამომრჩეველს მათ პოზიციასთან ახლოს მყოფი ამომრჩევლის სეგმენტში ეძებენ. ე.წ. პროდასავლური პარტიები ცდილობენ ლიბერალური ფასეულობების ირგვლივ გაერთიანებული ამომრჩევლის გულის მოგებას, რუსეთუმეები – პირიქით.

პროამერიკელები ცდილობენ ლიბერალური ფასეულობები დასავლურ ცივილიზაციას დაუკავშირონ, პრორუსები, პირიქით, კონსერვატორულ ფასეულობებს პრორუსულ პოზიციასთან აიგივებენ. ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, საფუძველშივე მცდარია, თუმცა პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი საზოგადოებისათვის, როგორიც საქართველოშია, ყველაფრის გამარტივებით, მარტივ მამრავლებად დაშლით პოლიტიკოსები მათთვის საჭირო ეფექტს აღწევენ.

ერთი მხრივ, მრავალპარტიულობა და განსხვავებულ სპექტრში არჩევანის გაკეთების საშუალება დადებითი მოვლენაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მოვლენას უარყოფითი მხარეც აქვს. ანალოგიური პრობლემა არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიცაა. მეტად ფართო ასორტიმენტის წარმოდგენის შემთხვევაში ადამიანს უჭირს არჩევანის გაკეთება. მისი არჩევანი აღარ გამომდინარეობს საჭიროების ფაქტორიდან.

ნებისმიერი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში ადამიანი მაინც უკმაყოფილო რჩება, რადგან ფიქრობს, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა, უკეთესი არჩევანი გაეკეთებინა. მწირი არჩევანის არსებობა აადვილებს გადაწყვეტილებას მიღების პროცესს.

მაგალითად, თუ თქვენ ლიბერალური, დასავლური ფასეულობების მომხრე ხართ, თქვენ წინაშე შემდეგი არჩევანია – ნაციონალური მოძრაობა მის წიაღში აღმოცენებული პარტიებით, აგრეთვე რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, სახელმწიფო ხალხისათვის და კიდევ მრავალი, რომლებიც პრაქტიკულად ერთისა და იმავეს სთავაზობენ ამომრჩეველს. ე.წ. კონსერვატორული ფლანგი მეჭიაური – ერთიანი საქართველოსათვის, ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსათვის, პატრიოტთა ალიანსი, რომელიც თავად ბლოკის სახით გამოდის არჩევნებზე, ახლა ამ ფლანგს დაემატა ხაჩიშვილისა და ბედუკაძის პარტია ცენტრისტები.

ამომრჩევლისათვის პრობლემას წარმოადგენს ამ პარტიებს შორის არჩევანის გაკეთება რამდენიმე მიზეზის გამო.

პირველი და მნიშვნელოვანი პარტიების პოზიციებსა და დაპირებებს შორის მკვეთრი ზღვრის არარსებობაა. ამის გამო ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე ბევრი სუბიექტური ფაქტორი მოქმედებს, მაგალითად, პოლიტიკოსის გარეგნობა, ჩაცმულობა, საუბრის მანერა და ტონი, მისი წარსული, პირადი ცხოვრება და შედეგად არა ობიექტური, არამედ სუბიექტური რეალობის ამსახველ შედეგს ვიღებთ. რა თქმა უნდა, სუბიექტურ ფაქტორებს არჩევნებისას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის არ უნდა იყოს გადამწყვეტი.

ერთი და იმავე პოლიტიკური შინაარსის, ნაცნობი სახეებით დაკომპლექტებული პოლიტიკური ორგანიზაციები ცდილობენ, თავიანთ პოლიტიკურ პოზიციებში ცვლილებები აუსრულებელი დაპირებებით გააძლიერონ. მათი პლატფორმები მიუღწეველი მიზნებითა და მმართველი ელიტის კრიტიკითაა შეკაზმული.

პროდასავლელები მთავრობას დასავლური ფასეულობების უგულებელყოფას სდებენ ბრალად, მათი ოპონენტები კი – ზედმეტად პროდასავლურობას.

თუმცა არცერთი მათგანი მათ მიერ დასახული პერსპექტივების განხორციელების გზას არ სთავაზობს ამომრჩეველს.

მაგალითად, რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ნავციონალური მოძრაობა და სახელმწიფო ხალხისათვის, გირჩი და ა.შ. ვერ გვიჩვენებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანების რეალურ გზას. მიუხედავად მათი ლიდერების დასავლეთში მრავალი ვიზიტისა, არ არის განსაზღვრული საქართველოს არც ნატოში, არც ევროკავშირში გაწევრიანების თარიღი.

ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ე.წ. ტრადიციული ფასეულობების მხარდამჭერი პარტიები. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების რეალური გეგმა და რუსეთთან დაახლოების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმა მათაც არ წარმოუდგენიათ.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ჩამოთვლილი ორგანიზაციის ლიდერი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამა თუ იმ პერიოდში უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე მუშაობდა. მათ მაშინ ვერ მოახერხეს საკუთარი გეგმების განხორციელება და რატომ უნდა ენდოს ამომრჩეველი ახლა?!

ამერიკასა და ევროპაში ლიდერებთან, კანონმდებლებთან შეხვედრის გამართვა, ფოტოს გადაღება და პრესაში შეხვედრის ირგვლივ ერთი-ორი სტატიის გამოქვეყნება არაა რთული საქმე და არც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ანალოგიური სიტუაციაა რუსეთში. რეალური გადაწყვეტილებები კი ამ შეხვედრების დროს არ მიიღება. ის მრავალწლიანი თანმიმდევრული მუშაობის შედეგად დგება.

ქართველი პოლიტიკოსები ორივე მიმართულებით მოკლევადიანი ეფექტის მქონე ქვეყნისათვის უშედეგო მეთოდს მიმართავენ. ისინი ჩადიან რუსეთში, ევროკავშირში ან აშშ-ში აფიქსირებენ შეხვედრებს, ძირითადად ქართულ, ზოგჯერ ადგილობრივ პრესაში აშუქებენ ამ შეხვედრებს და ეს ყველაფერი მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისათვის ცუდად შეფუთული ტყუილია.

თითქოს შეხვედრა და ხელის ჩამორთმევა ადასტურებს, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა დასავლური ან რუსული მხარდაჭერით სარგებლობს. მხარდაჭერა კონკრეტული მოქმედებაა, მაგალითად, რეალური სამხედრო ან ფინანსური დახმარება. აგრეთვე, კონკრეტული ინვესტიცია ქვეყანის ეკონომიკის რომელიმე სფეროში, რომელიც მთავრობის ან პოლიტიკური ძალის ამა თუ იმ ქვეყანაში მუშაობითაა მიღწეული და არა მარტო შორეული მომავლის პერსპექტივის დასახვაა.

ქართველი პოლიტიკოსები უფრო მისნობით არიან დაკავებული. ისინი ცდილობენ ამოიცნონ, რა სურს მათი იდეალების ქვეყანას. შემდეგ მისნობით მიღებულ ინფორმაციას ახმაურებენ, როგორც მათი, ვითომ პარტნიორი ქვეყნის პოზიციას და ამ პოზიციის დაცვით არიან დაკავებული ადგილობრივ პოლიტიკურ ბაზარზე. ლიბერალებს ასეთ პოზიციად ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება მიაჩნიათ, ქართული ტრადიციების მომხრეებს – რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. აქედან გამომდინარე, მათდამი საზოგადოების ნდობა ნამდვილად არაა მაღალი.

ბოლო დროს მედიისა და საზოგადოების ყურადღება პარტია ცენტრისტებმა მიიპყრო საკუთარი მკვეთრად რუსეთუმე პოზიციით. ეს ორგანიზაცია ცდილობს, მოსახლეობას ცრუ დაპირებებით აურიოს გონება, მაგალითად, რუსული პენსიებისა და რუსული ბაზების დაკანონების შესახებ. ისინი მოსახლეობას უმტკიცებენ, თითქოს მათ თავიანთი პოზიცია შეთანხმებული აქვთ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილმა მართლაც გამართა შეხვედრები რუსეთში. მათ რუსულ მხარეს გარკვეული ფინანსების სანაცვლოდ, მათი აზრით, რუსეთისათვის სასარგებლო პოზიციების მხარდაჭერა აღუთქვეს.

ქართველი პოლიტიკოსები რუსებს შეჰპირდნენ მკვეთრად ანტიდასავლური პოზიციების გატარებას, მაგალითად, რუსული ბაზების დაკანონებას, ევროატლანტიკური არჩევანის საწინააღმდეგო მოქმედებას.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი თქვეს ქართულ პოლიტიკაში თანხების ინვესტირებაზე. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ შეხვედრაზე რუსეთის მხარემ რიტორიკული კითხვაც კი დაუსვა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს, რატომ ჰგონიათ მათ, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოში ანტიდასავლური პოლიტიკის გამტარებელი ძალების ხელისუფლებში მოსვლით.

წყაროს ცნობით, საქართველოდან ჩასული პოლიტიკოსები მეტად უკმაყოფილო წამოსულან შეხვედრიდან. მათ მცირე ფინანსების მოზიდვა მაინც შეძლეს რუსეთში მოღვაწე ქართული დიასპორის რიგებში.

მეორე საინტერესო მოვლენა ქართულ პოლიტიკაში მთავრობიდან წამოსული პარტიების მიერ საკუთარი შესაძლებლობების თამასის დაწევაა. მთავრობიდან წამოსული თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები პოზიციის გასამყარებლად, რომ მათ გარეშე საქართველოს დასავლურ არჩევანს საფრთხე დაემუქრება, მაგალითად „ცენტრისტებისა“ და „მეჭიაური ერთიანი საქართველოსათვის“ არსებობა მოჰყავთ, თუმცა, მათივე პარტნიორი ამერიკული ორგანიზაციების სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, ასეთ არჩევანს საფრთხე არ ემუქრება.

რა საჭიროა ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა, თუ თავად პროდასავლური პარტიები არ არიან დაინტერესებული საქართველოში პრორუსული ძალების წინ წამოწევით, როდესაც ასეთ ძალებს არ აქვთ რეალური საშუალება და ფინანსები, გავლენა იქონიონ ქვეყნის საგარეო კურსზე. ამას ერთადერთი გამართლება აქვს. თავად ე.წ. პროდასავლური პარტიები აპირებენ რუსეთუმე ძალების სახით საფრთხობელას შექმნას, რათა საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად დასავლეთში ფინანსები მოიძიონ.

მოგეხსენებათ, ამერიკაში არჩევნებია და ამ დროს თანხების აკუმულირება ამ ქვეყანაში ხდება. საქართველოსათვის ამერიკელ დონორებს არ სცხელათ. ის კი არა, თურქეთში არ ხდება ლიბერალური ოპოზიციის დაფინანსება. თუმცა, დამეთანხმებით, თურქეთი მეტად მნიშვნელოვანია დასავლეთისათვის, ვიდრე საქართველო. ამავდროულად, თურქეთის პრეზიდენტის მიერ მკვეთრად ანტიდასავლური კურსის არჩევასთან ერთად, საქართველოში პრორუსული მთავრობის ყოფნის აუცილებლობა აღარაა.

რაც შეეხება რუსულ ბაზებს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ისედაც მრავლადაა ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალები და არც მათი იქ ყოფნისათვის ითხოვენ რუსები ჩვენგან ნებართვას.

რაც შეეხება საკუთრივ საარჩევნო პროცესს, მთავარი პრობლემა საარჩევნო სუბიექტების მიერ საკუთარი ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების არარსებობაა. საარჩევნო პროცესი საერთაშორისო ვექტორების არჩევაზეა გადასული. პოლიტიკოსები ცდილობენ, საგარეო კურსზე მეტად ისაუბრონ, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე, რითიც, მათი აზრით, ქვეყნისა და საკუთარი თავის მნიშვნელობას ზრდიან. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მსოფლიოსა და რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება, განსხვავებით 90-იანებისაგან, ნაკლებად გვაძლევს საშუალებას, გავლენა ვიქონიოთ მასზე, თუმცა კულუარული მუშაობის საშუალებას იძლევა.

„ქართულმა ოცნებამ“ აჭარაში მაჟორიტარებად ყოფილი ნაციონალები წარადგინა

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ ტრადიციას არ უღალატა და რამდენიმე ნაციონალი აჭარის რეგიონშიც წარადგინა მაჟორიტარად. აჭარის მოსახლეობას მაჟორიტარები პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა წარუდგინა.

ერთადერთი მავნე ტრადიცია, რომელიც მმართველმა ძალამ დაარღვია, ის გახლავთ, რომ კანდიდატად ქალი დაასახელეს. აჭარის გარდა, „ოცნებას“ ქალი კანდიდატი არცერთ რეგიონში არ წარუდგენია.

ბათუმელებს 3 მაჟორიტარი დეპუტატის არჩევა მოუწევთ. ქალაქის 68-ე ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება პარლამენტის წევრი ფატი ხალვაში. ის ქიბარ ხალვაშის დაა.

ბათუმის 69-ე ოლქში პარტიიდან წარმოდგენილია ლევან (ნუკრი) ბეჟანიძე. ის ბათუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმია. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ის აჭარის მთავრობის ახლადდანიშნული თავმჯდომარის, პატარაძის ცოლის ნათესავია.

პირველი რადიოს ინფორმაციით, ბეჟანიძის ძმა წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის პოლიციის სამმართველოში, ბათუმის სამმართველოს უფროსად, ასევე ქობულეთის სამმართველოს უფროსად. გავრცელებული ინფორმაციით, აქტიურად მონაწილეობდა ქობულეთში იპოთეკით დაზარალებულთა გამოსახლების პროცესში.

ბათუმის 70-ე ოლქში პარტიის რჩეული მსოფლიო ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე იქნება. ის ამჟამად აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსია.

ვახტანგაძე ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური კანდიდატია. გავრცელებული ინფორმაციით, მას ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს აქტიური და ახლო კონტაქტი ჰქონდა გივი თარგამაძესთან. 2008 წელს ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიაშიც იყო.

მასთან დაკავშირებით რამდენჯერმე გააკეთა სკანდალური განცხადება დეპუტატმა მურმან დუმბაძემ. მან პარლამენტის ტრიბუნიდან რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ვახტანგაძე ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ოპოზიციის მიტინგებს არბევდა.

„ქართულმა ოცნებამ“ ქობულეთელებს მაჟორიტარად პროფესიით ექიმი კობა ნაკაიძე წარუდგინა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაკაიძე ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს კურსელია. ამ ეტაპზე ის ქობულეთში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს ხელმძღვანელობს.

ხულოში, შუახევსა და ქედაში მაჟორიტარობის კანდიდატი მოქმედი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე იქნება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბოლქვაძე ნაციონალური მოძრაობის ორგზის დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო.

ხელვაჩაურში მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელებულია ილია ნაკაშიძე.

8 ოქტომბერს აჭარაში, საპარლამენტო არჩევნების გარდა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც ჩატარდება. კვირიკაშვილმა ამომრჩეველს „ქართული ოცნების“ ის კანდიდატებიც წარუდგინა, რომლებიც აჭარის უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად იბრძოლებენ.

ბათუმის 68-ე ოლქში პარტიის კანდიდატი იქნება ვახტანგ წულაძე. ის აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი გახლავთ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წულაძე ირაკლი სესიაშვილის დეიდაშვილია.

69-ე ოლქში წარმოდგენილია პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ილია ვერძაძე, რომელიც ედპ-ს წევრი და სამშობიარო სახლის დირექტორიც იყო.

ბათუმის 70-ე ოლქში პარტიას წარმოადგენს ნუგზარ სურმანიძე. ის აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრია. პირველი რადიოს ცნობით, მას, არაოფიციალური ინფორმაციით, საფთიაქო ბიზნესი აქვს.

ქობულეთში მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება გიორგი რომანაძე, რომელიც აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსია. ის აჭარის მთავრობის მეთაურ პატარაძის ცოლის ნათესავია.

ხელვაჩაურიდან „ოცნების“ სახელით უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად მერაბ კარანაძე იბრძოლებს. პირველი რადიოს ინფორმაციით, წარსულში ის ასლან აბაშიძის აღორძინების კავშირის წევრი იყო.

ასლან აბაშიძის დროს ის ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსი და გურამ ვარშალომიძის ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. რაღაც პერიოდი აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოადგილეც იყო.

ხულოში, შუახევსა და ქედაში „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს ბიზნესმენი ხვიჩა შარაშიძე, ნაციონალური მოძრაობის დამფინანსებელი, ვარშალომიძის ნდობით აღჭურვილი პირი.

◆ ◆ ◆

ახლო მომავალში „ოცნება“ მაჟორიტარებს თბილისშიც დაასახელებს. მმართველ გუნდში ამბობდნენ, რომ 8 აგვისტოსთვის პარტიული სიაც მზად ექნებოდათ და მაჟორიტარებიც ყველგან ეყოლებოდათ წარდგენილი.

როგორც პარტიის კულუარებში ამბობენ, პარტიული სიის შედგენა ძალიან გაჭირდა. განსაკუთრებული წივილ-კივილი სიის პირველ 3 ათეულში მოხვედრაზეა. „ოცნებაში“ ღიად ამბობენ, რომ პარლამენტში 30-მდე დეპუტატის გაყვანას შეძლებენ. დანარჩენ იმედს მაჟორიტარებზე ამყარებენ.

„რევოლუციური პროექტი“ – როგორ შეიქმნა პირველი კერძო ოპერატორი საქართველოში

„ახალი ქსელები“ 20 წლისაა

მძიმე მემკვიდრეობა და არახელსაყრელი გარემო – ენთუზიაზმმა, მონდომებამ და რისკმა გაამართლა – ერთ-ერთი პირველი კერძო ოპერატორი საქართველოში ზუსტად 20 წლის წინ შეიქმნა. შემდგომი ნაბიჯებიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა ცოდნამ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. „ახალმა ქსელებმა“ მაშინდელ გამოწვევებსაც გაუძლო და ტექნოლოგიურ ცვლილებებსაც ფეხდაფეხ მიჰყვა. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ***ავთანდილ იაშვილის*** *თქმით, წარმატების უმნიშვნელოვანესი საიდუმლო, პროფესიონალიზმსა და თავდაუზოგავ შრომასთან ერთად, პარტნიორთა შორის არსებულ მეგობრობასა და შეხედულებათა თანხვედრაშია.*

ავთანდილ იაშვილი:

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პროცესები საკმაოდ რთულად განვითარდა, მხედველობაში მაქვს სამოქალაქო ომი, ძარცვა-გლეჯა და ა.შ. განსაკუთრებით აქტუალური იყო სპილენძის ქურდობა. ბუნებრივია, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა იყო კავშირგაბმულობის სფეროშიც. ამ პერიოდში პარლამენტში რამდენიმე სახის საკანონმდებლო ინიციატივა შევიდა, მათ შორის, ჩვენი დარგის მხრიდანაც. ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ინიციატივა დარგის ლიბერალიზაციის დაწყებას ეხებოდა. ეს იყო 90-იან წლებში. სწორედ მაშინ, პირველად ისტორიაში, მიიღეს კანონი, რომლითაც განისაზღვრა კერძო საკუთრების უფლება კომუნიკაციის სფეროში. აი, ეს გახდა საფუძველი, რომ ჩვენს ქვეყანაში პირველად, კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო სფეროში, შექმნილიყო პირველი კერძო ოპერატორი.

კავშირგაბმულობის ექსმინისტრის, ამჟამად „ახალი ქსელების“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ***ფრიდონ ინჯიას*** *ინფორმაციით, კანონის პროექტი, რომელზეც ბატონი ავთანდილი საუბრობს, კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ იყო ინიცირებული. მისმა მიღებამ კი სფეროს განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.*

ფრიდონ ინჯია:

– კანონის მიღებამ და სამინისტროს პოლიტიკამ სახელმწიფო საწარმოებთან ერთად კერძო საწარმოების შექმნა განაპირობა, რამაც, თავის მხრივ, ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და კონკურენციის გაზრდა გამოიწვია. კონკურენციას მოჰყვა მომსახურების დონის ამაღლება, ფასების კლება, პასუხისმგებლობის მომატება და კავშირგაბმულობის სფეროდან ბიუჯეტში შემოსავლის მნიშვნელოვანი ყოველწლიური ზრდა. მოგვიანებით, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა საქართველო, კომუნიკაციის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, სამაგალითო ქვეყნად შეაფასეს და პარალელი იმ პერიოდში ზემოაღნიშნული მიმართულებით საკმაოდ სწრაფი ტემპით მზარდ ქვეყნებთან – სინგაპურთან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან გაავლეს, თუმცა კონკრეტულ შედეგამდე და მსგავსი შეფასების მიღებამდე სფეროს წარმომადგენლებს საკმაოდ რთული გზის გავლა მოუხდათ.

იდეა ადრე გაჩნდა, მისი ხორცშესხმა კი 1996 წლის 2 აგვისტოს მოხერხდა – პირველმა კერძო ოპერატორმა ფუნქციონირება სწორედ ამ ეტაპიდან დაიწყო. ახლა კომპანია ახალი სირთულის წინაშე აღმოჩნდა – შემდგომი განვითარებისთვის რაიმე სახის თანადგომის იმედი სახელმწიფოსგან არ უნდა ჰქონოდა, არადა, სრულფასოვანი მუშაობისთვის აპარატურის შეძენა იყო საჭირო. ნებისმიერი უცხოური კომპანია კი მათგან სახელმწიფო გარანტიას ითხოვდა.

ავთანდილ იაშვილი:

– ჩვენ იმ დროს არანაირ აპარატურას არ ვაწარმოებდით და შესაბამისად, ყველაფერი უცხოეთში უნდა შეგვეძინა. ამისთვის საჭირო იყო ვალუტა. მიდიოდა მოლაპარაკებები უცხოელებთან, მწარმოებლებთან, თუმცა... ყველა სახელმწიფო გარანტიებს ითხოვდა. იმ დროისთვის საქართველოში აქტიურად მუშაობდა მსოფლიო ბანკი, რომელიც ასეთ პროექტებსა და მასშტაბურ მშენებლობებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის საშუალებას არ იძლეოდა.

დამფუძნებლებმა გამოსავალი აქაც მოძებნეს – მწარმოებლები კრედიტის გაცემაზე დაითანხმეს, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში კი კომპანიის მფლობელებმა საკუთარ თავზე ბიზნესის დათმობის ვალდებულება აიღეს.

ავთანდილ იაშვილი:

– ამ შეთანხმებით მწარმოებელი არაფერს კარგავდა. ის დაამონტაჟებდა აპარატურას, აიღებდა ბაზას, ჩვენ ჩავრთავდით აბონენტებს, ანუ ის აპარატურა გახდებოდა ცოცხალი, და თუ ვერ გადავუხდიდით ფულს, ანუ თუ ვითარება ისე არ წარიმართებოდა, როგორც გვინდოდა, ჩვენი კომპანია მთლიანად გადავიდოდა მათ საკუთრებაში. აი, ამ მოდელმა იმუშავა და „ახალმა ქსელებმა“ ქართულ ბაზარზე სტარტი აიღო.

პირველი თანამშრომლობა „დეუ ტელეკომთან“ შედგა. მათი დათანხმება 8 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტზე სახელმწიფო გარანტიის გარეშე რთული აღმოჩნდა, თუმცა ხანგრძლივი ორჭოფობის შემდეგ ხელშეკრულება მაინც გაფორმდა.

ავთანდილ იაშვილი:

– ეს იყო ჩვენი პირველი პროექტი. აქციონერები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარე მთლიანად წაიღებდა ბიზნესს თავისი აბონენტებით და აპარატურით. მერე ისინი გაყიდდნენ კომპანიას და ა.შ. სხვა რესურსი არ გვქონდა. ფაქტობრივად, ყველაფერი ცარიელი ხელებით, ნულიდან დავიწყეთ. საწესდებო კაპიტალი სულ 2000 ლარი იყო. მოგვიწია ინვესტორების დარწმუნება, რომ ჩვენ ყველაფრის ორგანიზებას – ოპერირებას, ჩართვას, გადართვას შევძლებდით და შემოსავალსაც დანიშნულებისამებრ გამოვიყენებდით. ხელშეკრულების გაფორმებამდე „დეუ ტელეკომის“ პრეზიდენტს, რომელიც საქართველოს სტუმრობდა, სამთავრობო სტრუქტურებში კიდევ ერთხელ აუხსნეს, რომ ამ ტიპის პროექტებზე არავითარი სახელმწიფო გარანტიები არ იქნებოდა. რასაც ჩვენ ვთავაზობდით, ეს იყო ღია მოდელი, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ, თუ ჩვენს ბაზარზე შემოსვლა უნდოდათ.

პროექტი შედგა. პირველად საბურთალოს ზონაში რამდენიმე თანამედროვე ციფრული სატელეფონო სადგური ჩაირთო, რომელიც 45000 აბონენტზე იყო გათვლილი. ეს რევოლუციური ნაბიჯი გახლდათ. პროექტის წარმატებულად განხორციელების შემდეგ კომპანიის დამფუძნებლებმა ანალოგიური მოდელი სხვებსაც შესთავაზეს. მეორე პროექტი 1997 წელს განხორციელდა. ამჯერად კომპანიის წარმომადგენლებმა ავლაბარი-აეროპორტის ტერიტორიები მოიცვეს. შემდეგ ნელ-ნელა გაფართოვდნენ და დედაქალაქიდან რეგიონებშიც გადაინაცვლეს.

ავთანდილ იაშვილი:

– წარმოიდგინეთ, როგორი სიტუაცია იყო მაშინ. ერთი ქუჩიდან მეორეზე დარეკვა ჭირდა, ისეთი ამორტიზებული იყო ძველი ქსელი. ჩვენ რევოლუციური ნაბიჯი გადავდგით სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თანადგომის გარეშე. პირველი პროექტის წარმატებულად განხორციელების შემდეგ უფრო გავთამამდით. მეორე პროექტი 1997 წელს განვახორციელეთ. ახლა „ტელრადთან“ მუშაობა დავიწყეთ და თბილისში იმავე მოდელით 7-იანების ზონა (ავლაბრიდან აეროპორტამდე) ავითვისეთ. შევქმენით შვილობილი კომპანია „ახტელი“, რომელიც იმავე მოდელით და პირობებით მოქმედებდა. გავაფორმეთ მწარმოებელთან ხუთწლიანი კრედიტი. ანალოგიური სიტუაცია იყო ქუთაისშიც და ექვსიანების ზონაშიც თბილისში. წარმატებული თანამშრომლობა შედგა სხვა ორგანიზაციებთანაც – „ალკატელთან“, „ისკატელთან“ და „სისკოსთან“. ყველა კომპანიასთან პირნათლად შევასრულეთ ვალდებულებები და მათგანაც ავიღეთ სათანადო წერილები, რომ მომავალში რაიმე გაუგებრობას არ ჰქონოდა ადგილი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან შეგვიწყო ხელი „თიბისი ბანკმაც“, რომელთანაც 2000 წლიდან ვთანამშრომლობთ. სწორედ მათი თანადგომით, მათ მიერ ჩვენი კომპანიისთვის გაცემული კრედიტებით მოხერხდა არაერთი პროექტის განხორციელება. ასე რომ, კომპანია დაარსების დღიდანვე წარმატებით ფუნქციონირებს და აქტიურად მიჰყვება იმ ტექნოლოგიურ ცვლილებების, რომელიც ზოგადად, გვხვდება ბაზარზე როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში.

გარკვეული დროის შემდეგ ფიქსირებულის ჩანაცვლება მობილურმა ქსელმა სცადა. პარალელურად, ბაზარზე ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ. ამან კონკურენციაც გაზარდა და სიახლის მოთხოვნაც, თუმცა „ახალ ქსელებს“ ახალი ტექნოლოგიების ათვისება და დანერგვა არ გასჭირვებია, შესაბამისად, ბაზრის მკაცრი კანონების შემოტევებსაც გაუძლო.

ავთანდილ იაშვილი:

– ამ ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე, მუდმივი წინსვლის, განვითარების გარეშე, გადარჩენა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. მას შემდეგ, რაც ბაზარზე მობილური ქსელი გამოჩნდა, ფიქსირებულის შენარჩუნება გართულდა. შემდეგ ოპტიკური ქსელის მშენებლობის გზა მოიძებნა, ბინაზე ინტერნეტის მიყვანა დავიწყეთ. მანამდე DSL ტექნოლოგიები აითვისა კომპანიამ და ა.შ. დღეს ჩვენი აბონენტები მაღალი ხარისხის ინტერნეტით სარგებლობენ და ფიქსირებულ ქსელებსაც ინარჩუნებენ. საერთო ჯამში, ჩვენ მივაღწიეთ, რომ ტელეფონის 160 ათასი და სადღაც 60 ათასი ინტერნეტის აბონენტი შევიძინეთ. ვვარაუდობთ, რომ ინტერნეტაბონენტთა რიცხვი უახლოეს 2-3 წელიწადში 100 ათასამდე გაიზრდება.

„უწყვეტი, სწრაფი და ხარისხიანი“ მომსახურების სრული პაკეტი ინტერნეტთან ერთად ტელევიზიასაც გულისხმობს. „ახალმა ქსელებმა“ საკუთარ აბონენტებზე ამ მიმართულებითაც იზრუნა და ერთ-ერთი ოპერატორი კომპანიის დაშვება განახორციელა, რომელიც მომხმარებლებს „MARTV“-ის მომსახურებას და საკმაოდ მრავალფეროვან სატელევიზიო არხებს სთავაზობს.

ავთანდილ იაშვილი:

– სურვილის შემთხვევაში, აბონენტებს ინტერნეტთან ერთად ტელევიზიის მიღებაც შეუძლიათ. ჩვენ ამ ტელევიზიის დაშვებას ვახორციელებთ, ანუ ოპერატორ კომპანიას, რომელსაც სატელევიზიო არხები გააჩნია, ჩვენს ქსელზე ვუშვებთ და ისინი აბონენტებისთვის ტელევიზიის შეუფერხებლად მიწოდებას ახორციელებენ. **რაც შეეხება ინტერნეტს, ჩვენ ყველაზე ბოლო თაობის ოპტიკურ ქსელს ვაშენებთ, სისკოს თანამედროვე სვიჩებით, რომელიც აბონენტამდე მიდის პირდაპირ ოპტიკური ძარღვით ყოველგვარი გაყოფის გარეშე. ასე ნებისმიერი სასურველი სიჩქარის მიღებაა შესაძლებელი. სწორედ ესაა ჩვენი უპირატესობა.** დღეს ბაზარზე საკმაოდ კონკურენტული გარემოა და ბუნებრივია, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ორგანიზაციამ ლიდერული პოზიციები შეინარჩუნოს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ამას უკვე 20 წელია ვახერხებთ. აბონენტებს არ ვატყუებთ, ვაწვდით ინტერნეტს იმ სიჩქარით, რაც არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, ვცდილობთ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხარისხი, შევთავაზოთ შედარებით დაბალი ფასები, ინოვაციური პროექტები და ზოგადად, ვცდილობთ, ყველა გადაწყვეტილება აბონენტთა ინტერესებს მოვარგოთ.

პიარკამპანიაზე რატომღაც უარის თქმა არჩიეს, თუმცა ამის გამო კომპანია აბონენტთა ნაკლებობას არ შეუწუხებია. გაზრდილ კონკურენციასაც უკეთესი ცვლილებების მოლოდინით შეხვდნენ – გეგმა დასახეს და ამ გეგმას მიჰყვებიან. მათთვის ყველაზე დიდი რეკლამა – მომსახურების ხარისხი, ხოლო საუკეთესო შედეგის მაჩვენებელი – კმაყოფილი აბონენტია.

ავთანდილ იაშვილი:

– კონკურენცია ხარისხის გაზრდას უწყობს ხელს. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვეწევით აქტიურ პიარკამპანიას, მაგრამ ის, რომ 60.000 მომხმარებელი გვყავს, ნიშნავს, რომ აბონენტი კმაყოფილია. მიზანიც ასეთი იყო – სადაც ფიქსირებული ტელეფონები გვქონდა და ზონები გვეკავა, ძირითადად იმ ტერიტორიებს ვავითარებდით. პირველ რიგში, ჩვენს აბონენტებს ვცემთ პატივს და ამიტომ. ისინი უკვე 20 წელია, ჩვენ გვერდით დგანან, შესაბამისად, პრიორიტეტებიც არიან და იქნებიან ყოველთვის. ვცდილობთ, მაქსიმალურად ხარისხიანი მომსახურება მივაწოდოთ, მომენტალურად აღმოვფხვრათ ყველა ტექნიკური პრობლემა, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა. ზოგადად, ვცდილობთ, მრავალმხრივ დავაზღვიოთ ქსელი და ამით უზრუნველვყოთ მომსახურების უწყვეტობა. იმის თქმა მინდა, რომ ერთ მომწოდებელზე არ ვართ დამოკიდებულები. როცა რაღაც ხდება ერთი მიმართულებით, ავტომატურად ერთვება მეორე და პრობლემაც მარტივად გვარდება.

ნებისმიერ საკითხს კომპანია კორპორატიული მმართველობის საფუძველზე აგვარებს. მართვაში სამი რგოლი მონაწილეობს. სამივე მათგანი – დამფუძნებლები, სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი – 20 წელია შეთანხმებულად მოქმედებს. პრობლემებს მმართველობით დამოკიდებულებაში ამ ხნის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია. ამის მთავარი მიზეზი პარტნიორების სწორად შერჩევა და ურთიერთპატივისცემაა.

ავთანდილ იაშვილი:

– კომპანიის მმართველობის ამ ტიპმა, ჩვენს შემთხვევაში, გაამართლა. ამას ის შედეგები ამტკიცებს, რაც გვაქვს. როცა 20 წელი კომპანია ბაზარზეა და ის მომგებიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი სწორადაა აწყობილი. გეტყვით იმასაც, რომ ბიზნესში უმნიშვნელოვანესი პარტნიორებს შორის ურთიერთობაა. სწორი პარტნიორის არჩევა წარმატების საფუძველია – ეს უდავოა. ყველა რგოლში ისეთი ადამიანები არიან შეკრებილები, რომლებიც ძალიან იოლად ურთიერთობენ ერთმანეთთან, ემთხვევა მათი შეხედულებებიც საერთო, გლობალური... ამიტომაც არის წარმატება გარანტირებული. ჩვენ ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს, ერთად ვნერგავთ სიახლეებს, ერთად ვქმნით ინოვაციურ პროექტებს, ერთად ვცდილობთ, მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ ჩვენს აბონენტებს და უზრუნველვყოთ უწყვეტი, სწრაფი და ხარისხიანი სერვისის მიწოდება.

„შევარდნაძეს ჯარი რომ არ შეეყვანა, აფხაზეთს არ დავკარგავდით“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთში ომის დაწყებიდან 23 წელი გავიდა. ამ პროცესებზე „ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ წევრი მამუკა გვაძაბია ესაუბრება.

მამუკა გვაძაბია:

– დღეს უფრო მეტი კითხვაა პასუხგაუცემელი, ვიდრე ადრე იყო. რაც დრო გადის, მით მეტი კითხვა რჩება აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით. რაც დრო გადის, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში აფხაზეთის პრობლემების მიმართ ინტერესი ქრება, მათ შორის, იმ პარტიაშიც, რომლის დამფუძნებელი მეც ვარ. აფხაზეთში ომის დაწყების, ტერიტორიული მთლიანობის დაწყების თემებზე საუბარს თავს არიდებენ.

– მიზეზს არ გეუბნებიან?

– მიზეზს ვერ მეუბნებიან. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. ამ საკითხში პარტიის დამფუძნებლებს შორის აბსოლუტურ უმცირესობაში ვარ.

– ამ საკითხზე პარტიაში საუბრები არ გქონიათ?

– საუბრები გვქონდა, მგონი, გავაგებინე, მაგრამ შეგნების თვალსაზრისით ცოტა ჭირს.

– წინა ხელისუფლების დროს თითქოს დაიწყო გამოძიება, მაგრამ შეჩერდა.

– მაშინ ვამბობდი, რომ ყველაფერი შევარდნაძემდე მიდიოდა და ამიტომ შეაჩერეს გამოძიება. სახელმწიფო გადატრიალებაზე, ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე, აფხაზეთში საომარი დაწყების ფაქტებზე გამოძიების შეჩერებას რაღაც ლოგიკით ვხსნიდი, რადგან შევარდნაძის გასამართლება საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლებისთვის არ იქნებოდა კარგი. ახლა შევარდნაძე აღარ არის, მაგრამ მისი გარემოცვა, ალბათ, ჯერ კიდევ გავლენიანია. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება სახელმწიფო გადატრიალების პირდაპირი შედეგი იყო. თავმოყვარე ერი და თავმოყვარე ხელისუფლება იმას არ უნდა უშვებდეს, რომ კიტოვანი და სიგუა თავისუფლად დადიოდნენ საქართველოს ქუჩებში. ელემენტარული თავმოყვარეობის ამბავია.

ვინც სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, ვინც საომარი მოქმედებების ინსპირირებას ახდენდა, დაძაბულობის კერებს ქმნიდა აფხაზეთში (იმავე ლეგიტიმური ხელისუფლებიდან), ისინი დღეს ან ხელისუფლებაში არიან, ან გარეთ.

– 14 აგვისტოს ომის დაწყების დღეს თქვენ გალში იმყოფებოდით. როგორ ვითარდებოდა მოვლენები?

– შევარდნაძეს აფხაზეთში ჯარი რომ არ შეეყვანა, დღეს აფხაზეთი დაკარგული არ იქნებოდა.

– თქვენ მაშინ იყავით გალში. რატომ არ შეუშალეთ ხელი? ფიზიკურად რატომ არ გადაუდექით ტანკებს, რომ არ გაეგრძელებინათ გზა?

– ფიზიკურად გადაუდგა ჩვენი მეგობრის სიძე ცხენისწყალზე და პირდაპირ გადაუარეს. აქციაც იყო. ცხენისწყალი გადაკეტილი გვქონდა. გადაუდგნენ მანქანით და ბეტეერით პირდაპირ გადაუარეს. შიგნით ჩვენი მეგობრის სიძე იჯდა. ფიზიკური გადადგომა გამოსავალი არ იყო. შევარდნაძის ხელისუფლება ისე იყო მომართული, რომ ცდილობდა, ყველაფრის ფასად როგორმე თავისი ძალაუფლება დაემყარებინა.

– ჯარი ფსოუმდე რომ გასულიყო და იქ დამდგარიყო, აფხაზეთში ვითარებას ვერ გააკონტროლებდა?

– კიტოვანის მიზანი ბოლომდე გასვლა არ გახლდათ. კიტოვანი წითელ ხიდთან გაჩერდა. წითელ ხიდთან გაჩერების არავითარი საჭიროება არ იყო. ტყვარჩელში ფილიამ (აფხაზი ეროვნების) აფხაზური დროშა ჩამოსწია და ქართული აღმართა, ოღონდ არ შემოვიდნენ და ქალაქი არ ააწიოკონო. სპეცსამსახურებს შეეძლოთ, ისინი გადმოებირებინათ. პირველად აფხაზეთში ვინ შევიდა, იცით? ქალაქ ბალაშიხაში, სპეცდანიშნულების ბაზაზე მომზადებული სპეცრაზმი შევიდა. ჯაბასა და შევარდნაძის უშუალო ძალისხმევით 120 მხედრიონელი გაგზავნეს ბალაშიხის ბაზაზე მოსამზადებლად. პირველები ისინი შევიდნენ სოხუმში და რომელი აფხაზიც დახვდათ, მათი სისხლის ტბები დააყენეს. სოხუმელმა აფხაზებმა თქვეს, მერე რა, რომ ქართველები მოდიანო და სოხუმი არ დატოვეს. ქართველებისადმი დადებითი განწყობა იყო აფხაზების ძალიან დიდი ნაწილში.



არ ვსაუბრობ ნაციონალ-სეპარატისტებზე. ამიტომ რიგითმა მოსახლეობამ, რომლებსაც ქართველებთან ნათესაობა, მეგობრობა, მეზობლობა აკავშირებდათ, არ დატოვა სოხუმი. ზუსტად მათ გაუსწორდნენ მოსკოვთან ახლოს, ქალაქ ბალაშიხაში მომზადებული სპეცრაზმები. ეს მითხრა სპეცსამსახურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რამდენიმე წლის წინ. იმ სპეცრაზმელების სახელები და გვარებიც არის ცნობილი. მათგან ზოგიერთი ცოცხალია და ვეტერანია.

აფხაზეთში ჯარი იმიტომ შევიდა, რომ მომხდარიყო საომარი მოქმედებების ესკალაცია. შედეგად საქართველო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რასაც აფხაზეთის დაკარგვა მოჰყვებოდა. ეს იყო ომის დაწყების მიზანი, შევარდნაძის ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზა.

ერთ კვირაში კახეთში სამი მკვლელობა მოხდა

ბოლო ერთ კვირაში კახეთში მოკლეს პარლამენტის ყოფილი წევრი, ამერიკელი ტურისტი და მარტოხელა ქალბატონი. ყოფილი დეპუტატის მკვლელობის ბრალდებით პოლიციამ 20 წლის ავთო ზაალიშვილი დააკავა. ამერიკელი ტურისტის მკვლელობის ბრალდებითაც 20 წლის ახალგაზრდაა დაკავებული. 76 წლის მარტოხელა ქალის მკვლელობის ფაქტზე კი 28 წლის მამაკაცია პასუხისგებაში მიცემული.

პარლამენტის ყოფილი წევრი, 66 წლის ნოდარ მოდებაძე, თელავის რაიონის სოფელ აკურაში, საკუთარ ნაკვეთში 8 აგვისტოს მოკლეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა სოფელ აკურაში ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ნოდარ მოდებაძეს და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც მოკლულის ნათესავებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ურთიერთშელაპარაკება მას შემდეგ მოხდა, რაც ნოდარ მოდებაძემ ნახა, რომ მის ნაკვეთში მწყემსს საქონელი ჰყავდა შეყვანილი. მკვლელობაში ბრალდებული, სოფელ კისისხევში მცხოვრები 20 წლის ავთო ზაალიშვილი მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ დააკავეს.

ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში 7 აგვისტოს გაუჩინარებული 76 წლის თინათინ ხოდაშნელაშვილი 10 აგვისტოს, საკუთარი საცხოვრებელი სახლის მარანში, ქვევრში დამარხული იპოვეს. მოკლულის მეზობლების თქმით, შიშველი ცხედარი პალტოში იყო გახვეული და ქვევრში ჩაგდების შემდეგ, ქვევრს ზემოდან მიწა ჰქონდა მიყრილი. სახლიდან არაფერია წაღებული. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 5 აგვისტოს, ღამით, ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში, თანასოფლელის, 1939 წელს დაბადებული თინათინ ხოდაშნელაშვილის ს საცხოვრებელ სახლში ქურდობის მიზნით, ფარულად შეაღწია. სახლის მეპატრონემ გ. ხ. შეამჩნია, რის შემდეგაც ბრალდებულმა ქალბატონს თავის არეში ბლაგვი საგნით დაზიანებები მიაყენა, მისი სხეული მარანში, ქვევრში, კვალის დაფარვის მიზნით გადამალა, ხოლო სახლში ხანძარი გაჩინა და მიიმალა. პოლიციამ ბრალდებული რამდენიმე დღის შემდეგ დააკავა.

12 აგვისტოს, საღამოს, თელავის რაიონის სოფელ ლეჩურიდან თუშეთისკენ მიმავალ გზაზე ამერიკელი ტურისტის, 41 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, 1996 წელს დაბადებული მ. ჭ-მ სოფელ ლეჩურიდან თუშეთისკენ მიმავალ გზაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, აშშ-ის მოქალაქეს, 1975 წელს დაბადებულ მ. ფ.-ს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა მ. ჭ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მკვლელობის სამივე ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. დანაშაული შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

გიორგი კვირიკაშვილი: „მთავრობა ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას არ დაუშვებს“

– საქართველოს მთავრობა კვლავაც გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა კანონიერ და დემოკრატიულ ბერკეტს, რათა არ დაუშვას ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა და მიესალმება ყველა შესაბამის ინიციატივას არასამთავრობო თუ პოლიტიკური სექტორის მხრიდან, – ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პარტია „ცენტრისტების“ საარჩევნო კლიპს.

კვირიკაშვილის თქმით, დღეს, როდესაც საქართველო ისტორიული არჩევნების წინაშეა, რომელიც განმსაზღვრელია ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, რომელსაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მრავალი მოქალაქე შეეწირა, უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა უწყებამ, ორგანიზაციამ თუ ფიზიკურმა პირმა იგრძნოს ეს პასუხისმგებლობა.

– მინდა გამოვეხმაურო საზოგადოების შეშფოთებას საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასული უფასო საარჩევნო რეკლამის გამო, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს შეიცავს, და აღვნიშნო:

1. დღეს, როდესაც საქართველო ისტორიული არჩევნების წინაშეა, რომელიც განმსაზღვრელია ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, რომელსაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მრავალი მოქალაქე შეეწირა, უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა უწყებამ, ორგანიზაციამ თუ ფიზიკურმა პირმა იგრძნოს ეს პასუხისმგებლობა.

2. საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა ბოლო წლების განმავლობაში, რათა მედია ყოფილიყო დამოუკიდებელი, თუმცა დამოუკიდებლობა არ ნიშნავს უპასუხისმგებლობას. მედიას ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რათა არ მოახდინოს ანტისახელმწიფოებრივი ინფორმაციის ტირაჟირება.

ჩვენ მივესალმებით საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილებას, შეაჩეროს ისეთი საარჩევნო აგიტაცია, რომელიც მიმართულია სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ასევე, მოვუწოდებთ ყველა სხვა მედიასაშუალებას, მაქსიმალურად ეცადონ, არ გახდნენ პროპაგანდის მსხვერპლი, თუნდაც გაუაზრებელი მოქმედებებით. სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში გაზრდილი ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის ფარგლებში გვმართებს განსაკუთრებული ყურადღება. 3. საქართველოს მთავრობა კვლავაც გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა კანონიერ და დემოკრატიულ ბერკეტს, რათა არ დაუშვას ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა და მიესალმება ყველა შესაბამის ინიციატივას არასამთავრობო თუ პოლიტიკური სექტორის მხრიდან, – ნათქვამია კვირიკაშვილის განცხადებაში.

◆ ◆ ◆

ლადო ბედუკაძისა და ნიკოლოზ ხაჩიშვილის პარტია „ცენტრისტები“ ამომრჩეველს 400-ლარიან რუსულ პენსიას, საქართველოში რუსული ჯარის დაკანონებასა და რუსეთთან ორმაგ მოქალაქეობას ჰპირდება. აღნიშნული საარჩევნო კლიპი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში გავიდა.

ინტერპრესნიუსი

პარლამენტის ბიუროს საგანგებო სხდომა გაიმართება

დღეს, 15 აგვისტოს, პარლამენტის ბიუროს სხდომა გაიმართება. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მიერ 12 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფს პარლამენტისადმი მიმართვა წარედგინება, რომლის მიხედვით, აღნიშნული ჯგუფი საქართველოს ე.წ. უბლოკო სტატუსის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებასა და ამ მიზნით მოქალაქეთა ხელმოწერების შეგროვებას გეგმავს.

თავის მხრივ, დავით უსუფაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ კონსტიტუციის პრეამბულას, სადაც საუბარია, რა სურს ქართველს ხალხს, დაემატოს ფრაზა: „დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში“.

უსუფაშვილმა კოლეგებს, პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალებს მის მიერ შეთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე ხელმოწერისკენ მოუწოდა. უსუფაშვილის საკონსტიტუციო წინადადების საკონსტიტუციო ინიციატივად ქცევას, სულ მცირე, 76 დეპუტატის ხელმოწერა სჭირდება.

ინტერპრესნიუსი

პრეზიდენტი ბედუკაძის პარტიის რეკლამას ანტისახელმწიფოებრივად მიიჩნევს

ვლადიმერ ბედუკაძის პარტია „ცენტრისტების“ სარეკლამო რგოლთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განცხადება გაკეთდა.

პრეზიდენტის მრჩეველ კახა კოჟორიძის განცხადებით, რეკლამის შინაარსი ანტიკონსტიტუციურია.

– მთლიანად ეს ამბავი და ქართველი საზოგადოების პოზიცია მიანიშნებს იმას, რომ ჩვენ სწორად გვაქვს გააზრებული სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების მნიშვნელობა და ის, რომ ეს არ არის შეუზღუდავი. განსაკუთრებულ შემთხვევაში ის შეიძლება შეიზღუდოს.

ამ შემთხვევაში საქმე ნამდვილად გვაქვს განსაკუთრებული შემთხვევასთან იმიტომ, რომ საქართველოს კონსტიტუციის პირველივე მუხლის პირველივე წინადადება ამბობს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო... როდესაც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია ამბობს, რომ ოკუპანტის ჯარებს დააკანონებს, რა თქმა უნდა, ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და პოზიცია. ასეთ დროს საქართველოს პრეზიდენტი და თითოეული მოქალაქე იქნება ერთიანი ამ პოზიციაში, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

პირველი რადიო

რა ნიშნები ახასიათებს ბოტულიზმს

კონსერვებით მოწამვლა საქართველოში საკმაოდ ხშირია

შინაურ პირობებში მომზადებული კონსერვებით მოწამვლის სიხშირე პიკს ზამთარსა და გაზაფხულზე აღწევს. რადგან კონსერვების მომზადების სეზონი შემოდგომაა, მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ბოტულიზმისგან თავის დასაღწევად.

ბოტულიზმის გამომწვევი გარემოში, კერძოდ კი ნიადაგში საკმაოდ გავრცელებული მიკროორგანიზმია, რომელსაც ბიოლოგიური თავისებურებები გააჩნია. უპირველესად, ეს არის უძლიერესი ტოქსინის, ანუ შხამის გამომუშავების უნარი. შხამის უმცირესი რაოდენობაც კი მილიონობით სასიკვდილო დოზას შეიცავს.

ბოტულიზმის გამომწვევი მიკრობი მკაცრი ანაერობია, მისი ზრდა-გამრავლება მხოლოდ უჟანგბადო არეში ხდება და იქვე გროვდება მისი შხამიც. არახელსაყრელ პირობებში მოხვედრისას ბოტულიზმის გამომწვევი გადადის გამძლე ფორმაში – წარმოქმნის სპორას. სპორა დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას და მშვენივრად უძლებს ნაირგვარი ქიმიური და ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებას. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასეა, რომ ბოტულიზმის გამომწვევი სპორა საათობით დუღილის შემდეგაც კი არ კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ თითოეული ჩვენგანი საკვებ პროდუქტებთან ერთად ბოტულიზმის გამომწვევის სპორების გარკვეულ რაოდენობას იღებდეს. ბოსტნეულისა და ხილის გულდასმით გარეცხვაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ უკლებლივ ყველა სპორაა მოშორებული. მაგრამ სპორას ასეთ პირობებში არ შეუძლია გადასვლა ვეგეტაციურ ფორმაში და შხამის გამომუშავება. ასე რომ, დაავადების განვითარებისთვის, როგორც წესი, აუცილებელია არა თვით სპორების, არამედ ბოტულოტოქსინის მოხვედრა ორგანიზმში.

* * *

რომელ ბოსტნეულს უკავშირდება ბოტულიზმით ავადობა?

ბოტულიზმის პრობლემა განსაკუთრებით გაამწვავა შინაური კონსერვების დამზადების დამკვიდრებამ. ის ნედლეული, რომლისგანაც ასეთი კონსერვები მზადდება – ბადრიჯანი, ლობიო, წიწაკა, დანდური და მრავალგვარი საკმაზი მწვანილეულობა – არაიშვიათად სპორებითაა დაბინძურებული. ბოსტნეულის კონსერვების მზადებისას 20-30 წუთით წამოდუღება სპორების გასანადგურებლად აბსოლუტურად საკმარისია. სპორები დუღილს უძლებენ 5-6 საათის განმავლობაში. ქილების ჰერმეტული დახურვის შემდეგ, ცოცხლად დარჩენილი სპორები გადადიან ვეგეტაციურ ფორმაში და იწყებენ შხამის გამომუშავებას. ასეთი პროდუქტის საკვებად მიღება სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს.

გადარჩენილი სპორების განვითარება შესაძლოა შეაფერხოს სიმჟავემ, მაგრამ მისი მაჩვენებელი საკმაო უნდა იყოს. ასეთი კონცენტრაციის სიმჟავე შინაურ კონსერვებში პრაქტიკულად არ გვხვდება.

* * *

დაავადება იწყება საკვების მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. თუმცა, უფრო იშვიათად, ეს პერიოდი შეიძლება რამდენიმე დღემდეც გაგრძელდეს. ეს ძირითადად ორგანიზმში მოხვედრილი შხამის რაოდენობაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მოკლეა ეს პერიოდი, მით უფრო მძიმედ მიდინარეობს დაავადება.

ბოტულიზმი ტემპერატურის მომატების გარეშე მიმდინარეობს. დაავადებულთა გარკვეული ნაწილი უჩივის საერთო სისუსტეს, თავბრუსხვევას, თავის ტკივილს, ზოგჯერ მუცლის ტკივილს, ფაღარათს, რაც ძირითადად ერთ დღეში მთავრდება და მდგომარეობა თითქოს უმჯობესდება, მაგრამ თანდათან თავს იჩენს ბოტულიზმისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები – პირის სიმშრალე, მხედველობის მოშლა. ავადმყოფი საგნებს გაორებულად ხედავს, უჩივის რაღაც „ბადეს“ „ნისლს“ რომელიც მხედველობას უშლის. თანდათან ვითარდება ქუთუთოების დამბლა; თავს იჩენს სახის კუნთების დამბლაც – სახე თითქოს კარგავს გამომეტყველებას და ნიღბისებური ხდება. დამბლის მოვლენები მატულობს და ვრცელდება ნეკნთაშუა კუნთებსა და დიაფრაგმაზე, რაც აძნელებს სუნთქვას; ვითარდება სუნთქვის მწავე უკმარისობა და მდგომარეობაც უკიდურესად მძიმდება. ბოტულიზმით დაავადებულის გადარჩენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იქნება აღმოჩენილი სათანადო სამედიცინო დახმარება. მკურნალობა, როგორც წესი, ტარდება საავადმყოფოში ყველა საჭირო წამლეულისა და, რაც მთავარია, ბოტულოტოქსინის საწინააღმდეგო შრატის გამოყენებით. რაც უფრო გვიანაა დაწყებული მკურნალობა, მით უფრო ნაკლებია მისი ეფექტურობა და მეტია სიკვდილის რისკი.

* * *

შესაძლებელია, აღარ დავაკონსერვოთ ისეთი პროდუქტი მაინც, რომლებიც ადრე მწნილეულის სახით ინახებოდა – მაგალითად, კიტრი, პამიდორი. კონსერვების მასობრივად კეთება მატერიალური გაჭირვების მოტივით შეუძლებელი მგონია. ალბათ, საქმე უფრო თავისებურ „მოდასთან“ გვაქვს. რას ვუწუნებთ კიტრის ან პამიდვრის მწნილს? იმას, რომ ეს პროდუქტები აბსოლუტურად უხიფათოა? თანაც პროდუქტის დამწნილების წესით შენახვა საუკუნეების განმავლობაშია შემოწმებული და მასზე უარის თქმა არაფრით არაა გამართლებული.

რაც შეეხება ისეთ ბოსტნეულს, რომლის დაკონსერვებასაც აუცილებლად მივიჩნევთ, მაინც შეიძლება დაცულ იქნეს ელემენტარული წესები, რომლებიც შეამცირებს ბოტულიზმის აღმოცენების საფრთხეს. ეს უპირველესად ნედლეულის დამუშავებას ეხება. იგი საკმაო ხნით უნდა იყოს წყლით დაფარული, რათა შემდგომში გარეგანი დაბინძურების მოშორება გაადვილდეს. ჩალბობის შემდეგ ბოსტნეული გულდასმით უნდა გაირეცხოს გამდინარე წყალში. ასევე გულდასმით უნდა გაირეცხოს კონსერვირებისთვის გამოსაყენებელი ჭურჭელი. მიუხედავად ყოველივე ამისა, გამორიცხული არ არის, რომ ქილაში მოთავსებულ ბოსტნეულს ბოტულიზმის გამომწვევი სპორები შეჰყვეს. საკვებად გამოყენების წინ ქილა გულდასმით უნდა შეათვალიეროთ. ძალზე სახიფათო ნიშანია ხუფის ამობურცვა-შებერილობა, ეგრეთ წოდებული ბომბაჟი. ასეთი ქილები დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

ბოტულოტოქსინის შემცველი პროდუქტები შემთხვევათა უმრავლესობაში სავსებით ვარგისად გამოიყურება. სწორედ ამაშია ბოტულიზმის „ვერაგობა„. კონსერვი უნდა მივიღოთ მხოლოდ სათანადო თერმული დამუშავების შემდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ პროდუქტი წინასწარ კარგად მოვშუშოთ ან უმჯობესია ვადუღოთ დაახლოებით ნახევარ საათს მაინც. რა თქმა უნდა, 30-წუთიანი დუღილი ბოტულიზმის სპორებს ვერ მოსპობს, მაგრამ აუცილებლად დაიშლება და გაუვნებელდება შხამი, რომელიც შესაძლოა უკვე იყო დაგროვილი ამ პროდუქტში. დაავადების განვითარება კი სწორედ ამ შხამზეა დამოკიდებული. თუ არ გვინდა მძიმე საფრთხეში ჩავიგდოთ თავი, უნდა ამოვიღოთ მენიუდან კონსერვები პროდუქტების მარაგის შესანახად. უნდა გამოვიყენოთ ტრადიციული ხერხი – დამწნილება, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ბოტულიზმის საფრთხეს. თუ მაინც მივმართავთ კონსერვირებას, უნდა დავაკონსერვოთ მხოლოდ ის პროდუქტები, რომელთა მწნილეულის მომზადება ვერ ხერხდება და რაც მთავარია, ყველა დაკონსერვებული პროდუქტი საკვებად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ წინასწარი გულდასმით თერმული დამუშავების შემდეგ.

ფურუნკულის (ძირმაგარას) მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

ძირმაგარას იწვევს სტაფილოკოკი, რომელიც იჭრება თმის ფოლიკულში, პროვოცირებას უკეთებს მის ნეკროზს და იწვევს გარშემო მდებარე ქსოვილის ანთებას. ამრიგად, წარმოიშობა მეტად მტკივნეული კვანძი. მისი ძირი მკვრივია, ამიტომ უწოდებენ ძირმაგარას. მას აქვს ბუდე. ძირმაგარა მოშორდება მაშინ, როცა ჩირქის ბუდე ამოვარდება.

– მრავალძარღვას ახალ ფოთლებს აქვს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება, ამიტომ წარმატებით გამოიყენება ფურუნკულების სამკურნალოდ. ფოთლების რამდენიმე ფენას იდებენ დაჩირქებულ ადგილზე და ბინტით იხვევენ. ახალი ფოთლებით ცვლიან ყოველ 2 საათში ერთხელ.

* * *

– იღებენ ჭვავის პურს, აყრიან მარილს და ღეჭავენ, რომელსაც იდებენ ფურუნკულზე და იხვევენ.

* * *

– ბარდას მარცვლებს ფქვავენ, ალოეს წვენით აკეთებენ მალამოს და იდებენ ფურუნკულზე.

* * *

– ძირმაგარაზე იდებენ თბილ დინდგელის ფირფიტას.

* * *

– თაფლისა და პურის ფქვილისგან ზელენ ცომს და იდებენ ძირმაგარაზე. უმჯობესია, თუ ზემოდან მრავალძარღვას ან კომბოსტოს ფოთოლს დააფენთ და ისე შეუხვევთ.

* * *

– საკუთარ ნერწყვში ხსნიან პურის ფქვილს, მოაყრიან შაქარს, დაიდებენ საფენით შაქრიანი მხრიდან.

* * *

– სვამენ ძახველის ნაყოფის ნაყენს, როგორც ჩაის. იწმინდება ორგანიზმი და ფურუნკულები ქრება.

* * *

– იღებენ 15 გრამ ჭინჭრის ფოთოლს და ასხამენ 200 გრამ მდუღარეს. აჩერებენ 2 საათი. იღებენ თითო სუფრის კოვზს 3 ჯერ დღეში.

სახის კანის გამწმენდი საშუალებები

აიღეთ 1 სუფრის კოვზი წვრილად დაფქვილი ოროვანდას ფესვები, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, დააყენეთ 20 წუთი და გადაწურეთ. ამ ნაყენში ასველებენ დოლბანდის ნაჭერს და სახეზე იდებენ 10-15 წუთი. ამავე ნაყენით შეიძლება ტანის გაწმენდაც.

* * *

2 სუფრის კოვზ მრავალძარღვას დაქუცმაცებულ მშრალ ფოთლებს დაასხით 400 მლ მდუღარე წყალი. დააყენეთ 30 წუთი. გააციეთ და გადაწურეთ. ამ ნაყენით კარგია პრობლემური სახის კანის გაწმენდა.

* * *

2 სუფრის კოვზ იავშანის ბალახს ასხამენ 200 მლ წყალს, ადუღებენ ცეცხლზე 5-10 წუთი. აციებენ და წურავენ. რეკომენდებულია ამ ნაყენით ცხიმიანი და ფორებიანი სახის კანის გაწმენდა.



* * *

1 ჩ/კ ვარდის წყალი, 1 ს/კ თაფლი, 1 ჩ/კ ხორბლის გაჯირჯვლებული და ჩათეთქვილი მარცვლები და 3 წვეთი გარგრის კურკების ან ზეითუნის ზეთი კარგად აურიეთ ერთმანეთში. დაიდეთ ეს ნარევი სახეზე, 10 წუთის შემდეგ კი მოიწმინდეთ შემთბარი პირსახოცით. ეს საშუალება კარგად აცილებს ჭუჭყს, მკვდარ უჯრედებს ატეინიანებს, არეგულირებს კანის მჟავეტუტოვან ბალანსს.

* * *

6 ცალ ნუშის დაფქვილ გულს დაასხით 50 მლ ვარდის წყალი, კარგად აურიეთ, 2-3 საათის შემდეგ კი გადაწურეთ. ეს ნარევი კარგია ბავშვის კანისთვისაც.

* * *

ეს რეცეპტი ნებისმიერი ტიპის კანს უხდება: აიღეთ 10 მლ გარგრის ზეთი, 50 მლ მაგნეზიის რძე, მლ გლიცერინი. ინგრედიენტები კარგად აურიეთ, სანამ ნარევი არ გაღიავდება. შეინახეთ თავდახურულ ჭურჭელში და ხმარების წინ ჭურჭელი შეანჯღრიეთ.

* * *

ერთმანეთში აურიეთ 1/2 ჭიქა ნუშის რძე, 1/2 ჭიქა შვრიის (ჰერკულესის) ფქვილი, 1/2 ჭიქა დაქუცმაცებული კასტიდიური საპონი, სახის და ყელის გასაწმენდად აიღებთ ამ ნარევის იმ დოზას, რომელიც ხელის გულზე დაეტევა და დაუმატებთ 50 მლ მინერალურ წყალს.

* * *

2 ს/კ ფასმანდუკას დაასხით 400 მლ წყალი და ადუღეთ 5-10 წუთი. ამის შემდეგ დაამატეთ 1 ს/კ არაყი.

ეს ნაყენი გამოიყენება ცხიმიანი, ფორებიანი კანის გასაწმენდად.

ჯალეიდოსკოპი

კანადელი ტრანსგენდერი მსახიობი დუბაიში არ შეუშვეს

კანადელი ტრანსგენდერი მსახიობი ჯიჯი გორჯეოსი დუბაის აეროპორტში დააკავეს და ქვეყანაში შესვლაზე უარი უთხრეს, რისი მიზეზიც მის მიერ სქესის შეცვლის ოპერაცია გახდა.

24 წლის მსახიობმა, რომელმაც პროცედურებისა და ოპერაციის ყოველი ეტაპი სოციალურ ქსელებში საკუთარ გვერდზე აღწერა, მასმედიის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ის დუბაიში ჩაფრენის დროს საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებმა გააჩერეს.

– მათ მითხრეს, რომ იმის გამო, რომ მე ტრანსგენდერი ვარ, ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება არ მაქვს, – განმარტა გორჯეოსმა.

მან ასევე ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა აეროპორტში გადაღებული ფოტოსურათი, რომელსაც კომენტარში მიაწერა, რომ ის ხუთი საათი ჰყავდათ დაკავებული.

დუბაის აეროპორტის წარმომადგენლის ინფორმაციით, მსახიობის პასპორტში მას სქესის განყოფილებაში მამრობითი ეწერა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მამაკაცებს აკრძალული აქვთ ქალის განსახიერება, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში ერთ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

ფიდელ კასტროს იუბილეზე 90-მეტრიანი სიგარა გაახვიეს

კუბის რევოლუციის ლიდერმა, რომელიც 13 აგვისტოს 90 წლის შესრულდა, თავის დაბადების დღეზე საჩუქრად 90 მეტრი სიგრძის სიგარა მიიღო. ის ტორსედორმა – სიგარის საქმის ოსტატმა – ხოსე კასტელარმა დაამზადა.



– სიგარის დასამზადებლად ათი დღის განმავლობაში დღეღამეში 12 საათს ვშრომობდი, – განაცხადა კასტელარმა.

72 წლის ტორსედორს დაახლოებით 80 კილოგრამი კუბური თამბაქო დასჭირდა, რომელსაც ის მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევს.

ჰავანაში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელმა ფიდელ კასტროსთვის განკუთვნილი სიგარის სიგრძე დაამოწმა და მონაცემები გინესის რეკორდების წიგნში რეგისტრაციისთვის გადააგზავნა.

აღსანიშნავია, რომ ფიდელ კასტრომ მოწევას თავი დაახლოებით 30 წლის წინ ჯანმრთელობის პრობლემების გამო დაანება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯო ბაიდენი: „ყირიმის პროვოკაციაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება!“



შედგა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსა და აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის სატელეფონო საუბარი. ბაიდენმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ყირიმში „უკრაინელი დივერსანტების“ დაპატიმრება წარმოადგენს პროვოკაციას, რომლის მიზანია მინსკში დაწყებული სამშვიდობო პროცესის ჩაშლა.

– ამაზე პასუხისმგებლობა ცალსახად რუსეთს ეკისრება, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხადა. ამავე დროს, მან მოუწოდა პოროშენკოს, რათა ესკალაცია არ დაუშვას.

– ესკალაცია ევროპაში ფართომასშტაბიან ომს ნიშნავს, ეს კი დაუშვებელია, – განაცხადა ბაიდენმა.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ანალოგიური მოწოდებით რუსეთსაც მიმართა.

– მსურს, ბატონ პუტინს ერთი ანდაზა შევახსენო: ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე განიგმირება, – თქვა ბაიდენმა.

ტრამპი ნიუ-იორკ ტაიმსის წინააღმდეგ



ნიუ-იორკ ტაიმსმა აშშ-ში მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანიის დეტალური ანალიზი გააკეთა. თანახმად გაზეთის მონაცემებისა, ტრამპის რეიტინგი ჰილარი კლინტონისას მთელი 15 პროცენტით ჩამორჩება. ამავე დროს, ტრამპი პოპულარულია როგორც აშშ-ის დაბალ ფენაში, ასევე რუსულენოვან მოქალაქეებშიც.

– ტრამპში ვხედავ ძლიერ ხელს, რომელიც წესრიგს დაამყარებს. ამას გარდა, ტრამპი პუტინთან საერთო ენასაც გამოძებნის. თუკი პრეზიდენტი ჰილარი გახდა, რუსეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბება, დაიწყება ახალი ცივი ომი. მე ეს არ მჭირდება, – განუცხადა ნიუ-იორკ ტაიმსს ერთ-ერთმა რუსმა ტაქსისტმა.

ამავე დროს, ტრამპის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებაა აშშ-ის უკრაინულ სათვისტომოში. მიზეზი ტრამპის უკანასკნელი განცხადებებია, როცა მან ოკუპირებული ყირიმი რუსეთის ტერიტორიად გამოაცხადა.

– ტრამპი არა მხოლოდ უხეში და ხეპრეა, ის ცინიკოსია! მას ვერც დემოკრატებს, ვერც რესპუბლიკელებს ვერ მივაკუთვნებთ. ტრამპი ცინიკოსების პარტიის წარმომადგენელია. მას არ გააჩნია არავითარი ღირებულებები, პრინციპები, – ეს „ნიუ-იორკ ტაიმსს“ უკრაინელმა ემიგრანტმა უთხრა.

თავად ტრამპს ასეთი შეფასებები, როგორც ჩანს, არ ეჭაშნიკა:

– ჩვენი ჟურნალისტები ფანტაზიორები არიან! „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული მთელი მასალა არარსებულ წყაროებზე დაყრდნობითაა დაწერილი! არც ისაა მართალი, რომ ჰილარის ჩემზე უკეთესი რეიტინგი აქვს. მე მას უკვე მთელი ოცი პუნქტით გადავასწარი, – რიხით გამოაცხადა ტრამპმა.

აქცია ნიუ იორკში

ნიუ იორკში ადგილობრივი მეჩეთის იმამი მოკლეს. ქალაქში მცხოვრებმა მუსლიმანებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი თვლიან, რომ მკვლელობა მუსლიმანებისადმი სიძულვილის ქადაგებამ განაპირობა.

– მოვითხოვთ, რათა ტრამპის მიერ ექსტრემისტული და ქსენოფობიური იდეების ქადაგება შეწყდეს! – სკანდირებდნენ შეკრებილნი.

რუსეთი ახალ პროვოკაციებს ამზადებს

უკრაინის დაზვერვის ინფორმაციით, ფსბ-ს აგენტების ჯგუფი ამზადებს დივერსიებს ევროკავშირის ტერიტორიაზე. დაგეგმილია აფეთქებების განხორციელება ვარშავაში, პრაღაში. გარეგნულად ყველაფერი ისე უნდა წარმოჩნდეს, თითქოს ეს უკრაინელი ნაციონალისტების ნახელავია. განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ შესაძლოა უკრაინის მეზობელი სახელმწიფოები (პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი) აღმოჩნდნენ. როგორც ცნობილია, პოლონეთი თავგამოდებით უჭერს მხარს უკრაინის ევროსტრუქტურებში (ევროკავშირი, ნატო) ინტეგრაციას. თუკი უკრაინელ ნაციონალისტებად შენიღბულმა რუსმა დივერსანტებმა ტერაქტები განახორციელეს, ამან შესაძლოა მასობრივი ანტიუკრაინული განწყობილებები გამოიწვიოს, რაც პოლონეთის ხელისუფლების პოლიტიკაზე იმოქმედებს.

რუსმა პოლიტოლოგმა ანდრეი მარტინოვმა ტელევიზიით გამოსვლისას უნებლიეთ უკრაინელი ჩეკისტების ინფორმაცია დაადასტურა. მან განაცხადა, რომ უკრაინელი ნაციონალისტები ამზადებენ ტერაქტებს როგორც პოლონეთში, ასევე უნგრეთში, რუმინეთში, ბალტიისპირეთში. მიზანი ევროპის დაშანტაჟებაა.

– რუსეთი ახალ პროვოკაციებს ამზადებს. ჩვენს ევროპელ პარტნიორებს მოვუწოდებთ, რომ ფრთხილად იყვნენ, – იტყობინება 112-ე არხი.

ილდირიმი: „თურქეთი კომპრომისზე არ წავა“

თურქეთის პრემიერმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა, რომ აშშ-სთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქეთ-ამერიკის მომავალი ურთიერთობების თაობაზე. 24 აგვისტოს დაგეგმილია აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ბაიდენის ვიზიტი ანკარაში, ოქტომბერში კი თურქეთს უკვე აშშ-ის სახელმწიფო მდივან ქერი ეწვევა.

– ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ პუტჩისტების მეთაურ გიულენის გადმოცემას, რომელიც აშშ-ის ტერიტორიას აფარებს თავს, – თქვა ილდირიმმა.

თურქეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გიულენის გადმოცემის საკითხში დათმობა გამორიცხულია.

– თურქეთი კომპრომისზე არ წავა! ან გიულენის გადმოცემა, ან თურქეთ-აშშ-ს შორის მეგობრობა დასრულდება, – აცხადებს პრემიერი.

კანადა უკრაინას სოლიდარობას უცხადებს

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფან დიონმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ უკრაინისადმი გამოთქმული ბრალდებები სიმართლეს არ შეეფერება. დიონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კანადა უკრაინას მხარს უჭერს.

– ამავე დროს, მსურს, როგორც რუსეთის, ისე უკრაინის ხელისუფლებას მოვუწოდო, რათა ესკალაციისაგან თავი შეიკავონ, – განაცხადა დიონმა.

შტაინმაიერი ლავროვს შეხვდება

ორშაბათს რუსეთში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი ჩავა. ეკატერინბურგში ის თავის რუს კოლეგა ლავროვს შეხვდება.

– მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირიასა და უკრაინაში გამწვავებული ვითარებაა, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს კონფიდენციალურად აცნობა: გერმანიაში ეშინიათ იმისა, რომ რუსეთი უკრაინასთან საზღვარს ჩაკეტავს; შესაბამისად, უკრაინიდან ევროპისაკენ ხალხის ნაკადი დაიძვრება; შტაინმაიერი ცდილობს, სიტუაცია განმუხტოს და მშვიდობიანი მოლაპარაკებების განახლებას მიაღწიოს.

ფიდელ კასტრომ მსოფლიო გააოცა



კუბის დიქტატორმა ფიდელ კასტრომ 90 წლისთავი იზეიმა. ამ დროს მან მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცა. კასტრომ მოუწოდა ამერიკას, რომ რუსეთთან ძალის ენაზე საუბარს შეეშვას.

– ნურც რუსეთს, ნურც ჩინეთს ძალის ენაზე ნუ ესაუბრებით! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამით ატომური იარაღის გამოყენებას პროვოცირებას უკეთებთ, – დაასკვნა კასტრომ.

დიმიტრი მედვედევი: „რუსეთმა შესაძლოა უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტოს“

რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ რუსეთს გამოეპარა მომენტი, როცა უკრაინაზე ძალისმიერი ზეწოლა შეიძლებოდა განხორციელებულიყო. პრემიერმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ დღეს რუსეთი უკრაინასთან, რომელსაც 250.000-იანი არმია ჰყავს, ომისათვის მზად არ არის.

– ჩვენ შეგვიძლია, 10.000 უკრაინელი ჯარისკაცი გავანადგუროთ, მაგრად დავკარგავთ 16.000-ს! შეგვიძლია, რიგი ქალაქები დავიკავოთ, მაგრამ მათ ვერ შევინარჩუნებთ, – თქვა მედვედევმა.

ამავე დროს, პრემიერმა განაცხადა, რომ რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ უფრო ქმედითი საშუალებები გააჩნია.

– ჩვენ, უბრალოდ, იძულებულნი ვიქნებით, საზღვრები ჩავკეტოთ და უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობები გავწყვიტოთ, – თქვა მედვედევმა.

ტერაქტი შვეიცარიაში

ტერაქტები უკვე ტრადიციულად სტაბილურ შვეიცარიაშიც ხდება. სენტგალენის კანტონში დანით შეიარაღებული 27 წლის ახალგაზრდა მატარებელში ავიდა და მგზავრებს დაერია.

– შედეგად დაშავდა შვიდი მოქალაქე, – იტყობინება ტსნ.

თავდამსხმელი დააკავეს. ის შვეიცარიის მოქალაქე აღმოჩნდა. ის წინასწარ პატიმრობაშია მოთავსებული. მომხდარის გამო მიმდინარეობს გამოძიება.

გეიაღლუმი ოდესაში

ოდესაში ცისფრების აღლუმი ჩატარდა. ქალაქის პატრიოტულმა ძალებმა აღლუმის ჩატარებას ხელი შეუშალეს. მათ მოსახლეობამაც მხარი დაუჭირა. პოლიციასა და პატრიოტებს შორის მოხდა შეტაკება.

– პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

გეიაღლუმი ჩაიშალა. პოლიციამ მისი მონაწილეები ავტობუსით გაიყვანა. დაკავეს 20 პატრიოტი, რომლებიც ცისფრებს თავს დაესხნენ. სათანადო გასაუბრების შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასაღევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ზუროსის გუნდი პრობლემებით იგებს

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო თბილისის მერიის თასის გათამაშება. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ქართველებმა ჯერ ჰოლანდია (77:66) დაამარცხეს, შემდეგ – უკრაინა (73:69).

ცხადია, ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადება, მაგრამ უკვე შეგვიძლია რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ.

ძალიან სასიხარულოა, რომ ნაკრებს კარგად შეეწყო მაიკლ დიქსონი. ამერიკელ უკანახაზელს ბურთების ჩაგდება კარგად ეხერხება და გიორგი ცინცაძის მოედანზე არყოფნაში შეტევების ორგანიზებაც რიგიანად ეხერხება. გიორგი ცინცაძემ ტრადიციულად ბასრი და ლამაზი პასები აკეთა. სანიკიძემ კი კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ შორი დისტანციიდან მიზანი გაიუმჯობესა და სამქულიანებს უკეთ ისვრის, რაც მანუჩარ მარკოიშვილის არყოფნაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

ფაჩულიაზე რამის თქმა ზედმეტია – მის გარეშე საქართველოს სხვა ნაკრები ჰყავს. მის არყოფნაში გუნდს კარგად ეხმარება გიორგი შერმადინი, მაგრამ მეტია საჭირო. მნიშვნელოვანი ფიგურაა თორნიკე შენგელია, თუმცა აშკარად გამოსასწორებელი აქვს სროლა როგორც შორი, ასევე საშუალო მანძილებიდან.

მარქაფაც ძველებურია: ერთია, დუდა სანაძე უკეთ ეხმარება გუნდს, ვიდრე ბექა ბურჯანაძე, რომლისგანაც აშკარად მეტს ველით. დანარჩენებზე მეტი დრო ეთმობა გიორგი შარაბიძეს, მაგრამ არც მისი დონეა დამაკმაყოფილებელი.

აი, ლუკა ზაქრაძის, ბესიკ ლეჟავას, ბექა ბექაურის, კახა ჯინჭარაძისა და ანატოლი ბოისას როლი კიდევ უფრო გაურკვეველია. აქედან მეტი დრო ეთმობათ ბოისას (რომელიც საქმეს არც აფუჭებს და არც აკეთებს, უფრო დაცვითი ფუნქციებისთვის შემოჰყავს ზუროსს) და ზაქრაძეს, რომელიც ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და მოედანზე ან ნერვიულობისგან იკარგება, ან უკლასობისგან. თუმცა, ერთად ორივე ფაქტორიც მისაღები ვერსიაა...

ახლა მატჩებზეც: ჰოლანდიამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საქართველოს 1 ქულით, უდაძაბულეს ბრძოლაში სძლია და ბიჭებს რევანში სურდათ. ეს გამოუვიდათ კიდეც...

თავიდანვე ჩვენმა ხუთეულმა უპირატესობა მიიღო, რომელშიც პირველად გამოჩნდა ფაჩულია. სამარქაფოებმაც მეტნაკლებად აუბეს მხარი და მოგების ბოლომდე მიყვანა ტექნიკის საქმე იყო.

ცხადია, პირველი გამარჯვების შემდეგ მეტს ველოდით მე-2 მატჩში უკრაინასთან, მაგრამ ასე არ მოხდა – ჩვენები უფრო ცუდად გამოიყურებოდნენ. ეს შესაძლოა ფაჩულიას არყოფნით აიხსნას, მაგრამ ფაჩულია გუნდს სულ არ ეყოლება და საამისოდ მზად უნდა იყვნენ. ქართველების თამაშით კმაყოფილი არც ზუროსი იყო, რომელმაც განაცხადა ნაკრებმა დაცვაში კარგად ვერ ითამაშა.

მატჩის მიმდინარეობისას ლიდერი არაერთხელ შეიცვალა, მთელი თამაშის მანძილზე თანაბარი და უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა, თუმცა ქართველებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს, მეტოქეს თავისზე მეტი შეცდომები დააშვებინეს და ამის წყალობით იმარჯვეს – 73:69.

როგორც გითხარით, ფაჩულიას არ უთამაშია. ზუროსმა კაპიტნის არყოფნა იმით ახსნა, რომ ზაზა გუნდს ახალი შეერთებულია, დიდი დატვირთვებისთვის მზად არა, მით უმეტეს, როცა წინ რუსეთთან პრინციპული მატჩია. ფაჩულია მწვრთნელებმა დაასვენეს, რითაც უკრაინელებმა ისარგებლეს და ფარქვეშ უპირატესობა მოიპოვეს. ილიას ზუროსი ხშირი შეცვლებითა და ტაქტიკის ცვალებადობით ცდილობდა სამწამიან ზონაში გაჩენილი ნაპრალის ამოვსებას. ერთხანს ქართველები ნომინალური ცენტრის გარეშე იყვნენ და სწრაფი, კონტრშეტევებზე აწყობილი თამაშით გავიდნენ ფონს, თუმცა თორნიკე შენგელიასა და ვიქტორ სანიკიძის მოწადინებით, რომელსაც ხელს გიორგი შერმადინიც აშველებდა, საქართველომ უკრაინელთა ფარქვეშა აქტივობა გაანელა.

დიდი სამუშაო გასწია სანიკიძემ, რომელიც 20 ქულით ბომბარდირი გახდა. უკრაინელები არ ცხრებოდნენ და უკანახაზელთა შორი თუ საშუალო სროლებით ცდილობდნენ ლიდერობის მოპოვებას, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. გიორგი ცინცაძის, მაიკლს დიქსონისა და დუდა სანაძის გარჯით, რომლებსაც პერიოდულად ბექა ბურჯანაძე ეხმარებოდა, ქართველებმა უკრაინელთა შეტევებს ეფექტი დაუკარგეს და გამარჯვებამდე მივიდნენ.

ტურნირის ბოლო დღეს, მე-3 ადგილისთვის უკრაინა და ჰოლანდია შეხვდებიან, ხოლო თასის მოსაგებად ერთმანეთს საქართველო და რუსეთი დაუპირისპირდებიან. ამ გუნდების ბოლო შეხვედრა 1 კვირის წინ, მოსკოვში გაიმართა, სადაც საქართველომ მე-2 ტაიმი ჩააგდო და საბოლოოდ დიდი სხვაობით დამარცხდა. არსებობს ალბათობა, რომ რუსებს არ ეყოლებათ ტიმოფეი მოზგოვი, რომელმაც უკრაინასთან ფეხი იტკინა და ჰოლანდიასთან არ უთამაშია

ილიას ზუროსი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– კიდევ ერთხელ მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს. უკრაინელებთან ვერ მოვახდინეთ კონცენტრაცია და დაცვაში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო. მჯერა, რომ ნაკრებს შეუძლია კარგი დაცვის თამაში, რომლის გარეშეც მატჩების მოგება შეუძლებელია. დავასვენეთ ფაჩულია, რათა რუსეთთან დაპირისპირებას ახალი ძალებით შეხვდეს. გავმეორდები და ვიტყვი, რომ ჩვენი მიზანი გუნდური დაცვაა და ეს არის ჩემი საკალათბურთო ფილოსოფია. მაღალი კლასის გუნდებს სწორედ ამ კომპონენტის წყალობით აქვთ კარგი შედეგი. ჩვენს გუნდს შეტევაში დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ თავდასხმა მოდის კარგი დაცვიდან და სწორედ ამიტომ იყო რომ ვერც შეტევაში ვიყავით სათანადო დონეზე. უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის ნაკრების მოსამზადებელი პერიოდი და შედეგზე მეტად ორიენტირებულნი ვართ მომავალზე. ჩვენი მიზანი გუნდის განვითარებაა და 31 აგვისტოსთვის მომზადებაა, როცა ოფიციალური მატჩები დაიწყება.

მესი არგენტინას დაუბრუნდა

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ლეო მესიმ არგენტინის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

ბარსელონის თავდამსხმელმა ეროვნული გუნდიდან წასვლის შესახებ კოპა ამერიკის ფინალში ჩილეს ნაკრებთან მარცხის შემდეგ გამოაცხადა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ 29 წლის მესიმ გამოაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერას გააგრძელებს.

ლეო მესი:

– ვხედავ, რომ არგენტინულ ფეხბურთში ისედაც მრავალი პრობლემაა და ნამდვილად არ მინდა, რომ კიდევ ერთი შევმატო. ზიანის მოტანა არავისთვის მსურს, პირიქით, ყოველთვის ვცდილობ სხვებს დავეხმარო. არგენტინულ ფეხბურთში ძალიან ბევრი რამ არის გამოსასწორებელი და სურვილი მაქვს, მის გამოსწორებაზე თავადაც ვიზრუნო.

ბოლო ფინალში წაგების შემდეგ თავში უამრავი აზრი მიტრიალებდა და სერიოზულად დავფიქრდი ნაკრებიდან წასვლაზე. მაგრამ ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ეს მაისური. მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვისაც სურდა, რომ გამეგრძელებინა სანაკრებო კარიერა. იმედია, უახლოეს მომავალში შევძლებთ მათ გახარებას.

ჩიხურა და დინამო თეთრ ჯგუფს ლიდერობენ

დინამო (თბ)-გურია 3:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 პაპუნაშვილი (26), 2:0 ჭანტურიშვილი (30), 3:0 ჯიღაური (65)

დინამო: სკრიბე, შპიჩიჩი (გ.თევზაძე 62), რენე, ჭელიძე, ლობჟანიძე, მ.ცინცაძე, პარუნაშვილი, ჭანტურიშვილი, ჯიღაური (კურიე 68), ალვარო (კიტეიშვილი 46), პაპუნაშვილი

გურია: იმერლიშვილი, ჭეიშვილი (დიასამიძე 69), ბ.ცინცაძე, ნოზაძე, ზ.თევზაძე, ჩადუნელი, მეგრელიშვილი, ჭეჭელაშვილი (სტეფნიაშვილი 46), ფელიპე, დენიზი, ჭედია (მოროზენკო 38)

დინამომ მატჩი თავდამსხმელის გარეშე ითამაშა. გუნდში აღარ არიან გიორგი ქვილითაია და ნიკოლოზ გელაშვილი, ხოლო ვლადიმერ დვალიშვილს ტრავმა აწუხებდა და დედაქალაქელებიც ნომინალური შემტევის გარეშე დარჩნენ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია გურულებისთვის, დიდი ანგარიშით მოეგოთ.

მატჩის დებიუტში დინამოელთა კართან სახიფათო ჯარიმა დაინიშნა – ბიძინა ცინცაძის დარტყმული ბურთი კედელს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. მე-13 წუთზე ვახტანგ ჭანტურიშვილმა შეუტია სახიფათოდ მარცხენა ფლანგიდან, მისი ჩაწოდებული კი გურიას მეკარემ მოიგერია.

26-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა – მარცხენა ფლანგზე მიკელ ალვაროს კარგ თამაშს და ჩაწოდებას გიორგი პაპუნაშვილი ზუსტი დარტყმით გამოეხმაურა. 4 წუთში დინამოელებმა მეორედ აიღეს გურიას კარი. ჭანტურიშვილმა ძლიერი და ზუსტი დარტყმით საჯარიმოს მისადგომებიდან ულამაზესი გოლი გაიტანა – 2:0.

ერთ წუთში მასვე კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. 35-ე წუთზე დედაქალაქელებს კიდევ მართებდათ გოლის გატანა. მიკელ ალვარომ ახლო მანძილიდან თავით დაარტყა, რატი იმერლიშვილმა კი შესაშური რეაქცია გამოავლინა და თავისი გუნდი მე-3 გოლისგან იხსნა. ტაიმი ასეც დასრულდა.

შესვენების შემდეგ თამაში შედარებით დაბალ ტემპში გაგრძელდა. 58– ე წუთზე გიორგი პაპუნაშვილი სოლო რეიდით შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში ტექნიკურად დაარტყა, გურიას კარი კი ხარიხამ გადაარჩინა. ორიოდე წუთში მატია შპიჩიჩმა მიიღო ტრავმა და მოედანი საკაცით დატოვა, მის ნაცვლად კი გიორგი თევზაძე შევიდა სათამაშოდ. მალევე მის პასს მე-3 გოლი მოჰყვა გურიას კარში – ზუსტი დარტყმა ჯაბა ჯიღაურმა შეასრულა.

ეს იყო და ეს – ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა და მიმდინარე ჩემპიონატში დინამომ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ლოკომოტივი-ტორპედო 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

ლოკომოტივი: თევდორაძე, ფოფხაძე, კლიმიაშვილი, ჩაგელიშვილი, კუხიანიძე, ხიდეშელი, მახარაძე, გაბაძე, ზარანდია (არდაზიშვილი 57), უბილავა (კიკნაძე 71), სამურკასოვი (დიასამიძე 62)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, გურული, კოლინი, ტუღუში, მამასახლისი, ფალავანდიშვილი, ენდელაძე (ქიმაძე 62), ბაბუნაშვილი (საღრიშვილი 78), დოლიძე, კვერნაძე (კაპანაძე 49)

გაძევება: ტაბატაძე (80)

მორიგი უსახური მატჩი საქართველოს ჩემპიონატში. ეს ტორპედოელთათვის მეორე უგოლო ფრეა 2 მატჩში. როგორც ჩანს, რიონისპირელებს მიმდინარე სეზონში გოლის გატანა გაუჭირდებათ და მარტო დაცვის იმედად ყოფნა, მთლად სასარგებლოც არ უნდა იყოს.

ლოკომოტივმა კი პირველი მატჩი გამართა. სხვა ზარანდია დაბრუნდა საქართველოში, ვერ იყვნენ ძველებურ იშტაზე ყოფილი ტორპედოელები – კლიმიაშვილი და კუხიანიძე. მოკლედ, ორივე გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს.

შუქურა-ჩიხურა 1:3

ქობულეთი. ჩელე არენა

1:0 ბერიაშვილი (42), 1:1 ლობჟანიძე (58), 1:2 ტატანაშვილი (60), 1:3 მუმლაძე (81)

შუქურა: ჯიოევი, კომახიძე, მირცხულავა, ჭეჟია, ჩაჩუა, საბაძე, მალანია (ჩელებაძე), მამულაშვილი, კუტალია, შალამბერიძე (ომანიძე), ბერიაშვილი

ჩიხურა: ჰამზიჩი, გრიგალაშვილი, კაშია, რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე, გორგიაშვილი (დობროვოლსკი), განუგრავა, გაბედავა, ივანიშვილი, ლობჟანიძე (ლექვთაძე), ტატანაშვილი (მუმლაძე)

ქობულეთში „შუქურამ“ საჩხერის „ჩიხურას“ უმასპინძლა და პირველი ტაიმის მოგების მიუხედავად, საბოლოოდ 1:3 წააგო. მასპინძლები ტაიმის მიწურულს გიორგი ბერიაშვილის გოლით დაწინაურდნენ, თუმცა შესვენების შემდეგ ჯერ საბა ლობჟანიძემ აღადგინა წონასწორობა, მალევე დიმიტრი ტატანაშვილმა წინ გაიყვანა მისი გუნდი. საჩხერელთა მესამე გოლი მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე თორნიკე მუმლაძემ ჩაიწერა საკუთარ ანგარიშზე.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	2	1	1	0	3-0	4
2.ჩიხურა	2	1	1	0	3-1	4
3.ტორპედო	2	0	2	0	0-0	2
4.გურია	2	0	1	1	0-3	1
5.ცხინვალი	1	0	1	0	0-0	1
6.ლოკომოტივი	1	0	1	0	0-0	1
7.შუქურა	2	0	1	1	1-3	1

შედეგები

13-14 აგვისტო

ოლიმპიადა

ფეხბურთი

კაცები

პორტუგალია-გერმანია 0:4
ნიგერია-დანია 2:0
ს.კორეა-ჰონდურასი 0:1
ბრაზილია-კოლუმბია 2:0

ჯიუდოთბურთი

ქალები

ავსტრალია-ბელარუსი 74:66
თურქეთი-ბრაზილია ..... 79:76(ოტ)

კაცები

არგენტინა-ბრაზილია .... 111:107(ოტ)
ესპანეთი-ლიტვა 109:59
ხორვატია-ნიგერია 76:90

წყალბურთი

ქალები

ჩინეთი-ესპანეთი 8:12
რუსეთი-იტალია 5:10
ავსტრალია-ბრაზილია 10:3
უნგრეთი-აშშ 6:11

ფრენბურთი

კაცები

ირანი-ეგვიპტე 3:0
არგენტინა-კუბა 3:0
პოლონეთი-რუსეთი 2:3
კანადა-მექსიკა 3:0
ბრაზილია-იტალია 1:3

ხელბურთი

კაცები

სლოვენია-გერმანია 25:28
ხორვატია-საფრანგეთი 29:28
დანია-კატარი 26:25
ეგვიპტე-ბრაზილია 27:27
შვედეთი-პოლონეთი 24:25
არგენტინა-ტუნისი 23:21

ჩოგბურთი

ქალები – მე-3 ადგილისთვის

კვიტოვა-კიზი 7:5,2:6,6:2

კაცები

ნიშიკორი-მიურეი 1:6,4:6
დელ პოტრო-ნადალი 5:7,6:4,7:6

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჰალი-ლესტერი 2:1
ბარნლი-სუონსი 0:1
კრ.პალასი-ვესტ ბრომვიჩი 0:1
მიდლსბრო-სტოკი 1:1
საუთჰემპტონი-უოტფორდი 1:1
ევერტონი-ტოტენჰემი 1:1
სიტი-სანდერლენდი 2:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-როტერჰემი 3:0
ბარნსლი-დერბი 2:0
ბოლტონი-ბრისტოლი 1:2
ბრენტფორდი-იფსვიჩი 2:0
ვულვზი-რედინგი 2:0
ლიდსი-ბირმინგემი 1:2
ნიუკასლი-ჰადერსფილდი 1:2
პრესტონი-ფულემი 1:2
უიგანი-ბლეკბერნი 3:0
ნორვოჩი-უენსდი 0:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-ბოხუმი 1:1
ზ.პაული-ბრაუნშვაიგი 0:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

ბორდო-სტ.ეტიენი 3:2
დიჟონი-ნანტი 0:1
კანი-ლორიანი 3:2
მეცი-ლილი 3:2
მონპელიე-ანჟე 1:0

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ვალანსიენი-რეიმსი 0:0

ჰოლანდია. ეროვნული ლიგა

ექსელსიორი-გრონინგენი 2:0
აიაქსი-როდა 2:2
ვიტესი-დენ ჰააგი 1:2
ზვოლე-სპარტა 0:3

ხუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-ცსკა 0:1
კრილია-კრასნოდარი 1:1
რუბინი-სპარტაკი 1:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

მორეირენშე-ფერეირა 1:1
სპორტინგი-მარიტიმუ 2:0
ტონდელა-ბენფიკა 0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-ზალცბურგი 0:2
მატერსბურგი-ვოლფსბერგერი 3:1
ალტახი-სტ.პოლენი 3:1
რაპიდი-ადმირა 4:0

ბელგია. 1 დივიზიონი

შარლერუა-გენტი 1:1
ვესტერლო-ეუპენი 1:2
მეხელენი-კორტრაიკი 0:0
გენკი-ბეევერენი 2:2

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ზლინი-ლიბერეცი 2:1
ბოლესლავი-კარვინა 1:2
იაბლონეცი-სლოვაცკო 2:2
ბრნო-ტეპლიცე 0:0
ბოჰემიანსი 1905-სპრატა 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

არკა-შლიონსკი 2:0
ლენჩნა-ლეგია 1:0
პოგონი-ნეცეჩა 5:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ვოლინი-ზვეზდა 1:0
ოლექსანდრია-ზორია 0:1
დნიპრო-ვორსკლა 1:1

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-სილკებორგი 3:3
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი 3:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ჰელსინბორგი 2;1
გეფლე-ნორჩიოპინგი 0:0

ნორვეგია. ტიპეღიგა

ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი 1:1
ვალერენგა-ბრანი 3:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ილვესი-ჰიფკი 3:1
პკ 35-ლახტი 1;1
კემი-ინტერი 3:1
სეინეიოკი-როვანიემი 3:1

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

პოლონელი ქალი ხანდაზმულ თაყვანისმცემლებს ძარცვავდა

პოლონელი პენსიონერი ქალბატონი სასამართლოს წინაშე იმის გამო წარდგა, რომ ის თავის ხანდაზმულ თაყვანისმცემლებს საჭმელში ძილის წამალს უყრიდა, შემდეგ კი ძარცვავდა. მათ ის მარტოხელა ადამიანებისთვის განკუთვნილი საგაზეთო რუბრიკის დახმარებით უკავშირდებოდა. 80 წლის იანა მ-ს საქმის მოსმენა პოლონეთის ქალაქ ბეესკოში მიმდინარეობს.

გამოძიების ვერსიით, ხანდაზმულმა ქალბატონმა მინიმუმ ორი ასეთი დანაშაული ჩაიდინა. მისი ბოლო მსხვერპლი 78 წლის პენსიონერი იყო, რომელიც სოფელ შუროვში ცხოვრობდა. როდესაც იანამ მამაკაცის ნდობა მოიპოვა, მან ის სახლში მიიპატიჟა. იქ ქალმა მას საჭმელში მალულად ჩაუყარა „ლორაზეპამის“ აბები და დაელოდა, სანამ დაეძინებოდა, შემდეგ კი მას მოჰპარა ფული, ბეჭდები და მობილური ტელეფონი. საერთო ჯამში, ქალის ნაქურდალმა ორი ათას დოლარს მიაღწია.

თუ სასამართლო იანას დამნაშავედ ცნობს, მას 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება. აღსანიშნავია, რომ პენსიონერი ქალბატონი ცხრაჯერ ყოფილა ნასამართლევი ქურდობისა და თაღლითობისთვის.

ბელგიელ ძიუდოისტს პლაჟზე სცემეს

ბელგიელ ძიუდოისტ დირკ ვან ტიხელტს რიო დე ჟანეიროს პლაჟ კოპაკაბანაზე სცემეს.

ბელგიელმა სპორტსმენმა ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიგო 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში, რის შემდეგაც ის თავის სპარინგ-პარტნიორთან ერთად პლაჟზე წავიდა წარმატების აღსანიშნავად. ამ დროს მის მეგობარს მობილური ტელეფონი მოჰპარეს. ოლიმპიადის პრიზიორი ქურდს გაეკიდა, რომელმაც მას წინააღმდეგობა გაუწია.

ამ ყოველივეს შემდეგ ბელგიელმა ძიუდოისტმა დახმარებისთვის პოლიციასა და ექიმებს მიმართა. მათ სპორტსმენს სერიოზული დაზიანებები ვერ აღმოუჩინეს, ხოლო საბოლოოდ მოხერხდა თუ არა დამნაშავის დაკავება, უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პრობლემები შეექმნათ ჩინელ და დანიელ სპორტსმენებსაც, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს.

რიოში ჟურნალისტების ავტობუსს ესროლეს

ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში, სადაც ოლიმპიური თამაშები იმართება, თვითმხილველთა თქმით, ჟურნალისტების ავტობუსს ესროლეს, როდესაც ის ოლიმპიური ობიექტებისკენ მიემართებოდა. საბედნიეროდ, ინციდენტის შედეგად სერიოზულად არავინ დაშავებულა.

ავტობუსი საკალათბურთო დარბაზიდან მთავარი ოლიმპიური პარკისკენ მიემართებოდა, როდესაც, მგზავრების თქმით, ორი გასროლის ხმა გაისმა. შედეგად ავტობუსის ფანჯარა ჩაიმსხვრა. ორმა ადამიანმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო.

– ჩვენ გვესროლეს, უფრო ზუსტად, გავიგონეთ გასროლის ხმა, – განაცხადა შერილ მიჰელსონმა, ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომელიც საკალათბურთო მატჩების გაშუქებითაა დაკავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტაივანში მგზავრობის შიშმა ჟირაფი იმსხვერპლა

ტაივანის ზოოპარკ ტაიბეიაში შვიდი წლის ჟირაფი შიშისგან დაიღუპა. ადგილობრივ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამალი ჟირაფი, სახელად სიაო ცზიუ კარძო, ზოოპარკში შესაჯვარებლად უნდა გადაეყვანათ. გალია, რომელშიც ცხოველი იმყოფებოდა, სატვირთო მანქანაზე დატვირთეს, მაგრამ მისი გამგზავრება ვეღარ მოასწრეს: ჟირაფს კრუნჩხვები დაეწყო და მოკვდა.

ცხოველის გაკვეთამ აჩვენა, რომ მას პნევმონია ჰქონდა, ხოლო გალიაში ჩასმის შემდეგ პანიკური შეტევა დაემართა, რამაც სუნთქვისა და კუნთების მუშაობის გართულება გამოიწვია. ამ ყოველივეს შედეგად ცხოველი ფილტვების უკმარისობისა და გულის გაჩერების შედეგად დაიღუპა.

ზოოპარკის ადმინისტრაციის ცნობით, ჟირაფის გამგზავრება თავდაპირველად ივლისში იყო დაგეგმილი, მაგრამ აგვისტოსთვის გადაიდო. გარდა ამისა, ცხოველისთვის გამგზავრების წინ სისხლის ანალიზი არ გაუკეთებიათ.

სიაო ცზიოს დაღუპვამ ცხოველთა დამცველების განრისხება გამოიწვია, რომლებიც ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ცხოველის მიმართ, რომლებიც მისი დაღუპვით სრულდება, დაუშვებლად მიიჩნევენ.

ობამას უფროსი გოგონა მარიხუანის მოწევისას დააფიქსირეს

აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას უფროსი ქალიშვილი მალია იმ მომენტში გამოიჭირეს, როდესაც ის მარიხუანას ეწეოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა თვითმხილველზე დაყრდნობით ავრცელებს. ამ გამოცემამ ინტერნეტში განათავსა ვიდეო, რომელზე აღბეჭდილია 18 წლის გოგონა, რომელიც მარიხუანას ეწევა.

აღსანიშნავია, რომ ეს ჩანაწერი გაკეთებულია ჩიკაგოში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე, სადაც მალია მეგობრებთან ერთად გაემგზავრა. ვიდეოჩანაწერის კადრში ობამას ქალიშვილი უკანა პლანზე მოჩანს.

გაზეთი ნიუ-იორკ პოსტი, რომელმაც ასევე გამოაქვეყნა ეს ინფორმაცია, აღნიშნავს, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც ილინოისის შტატში, რომლის უმსხვილეს ქალაქსაც წარმოადგენს ჩიკაგო, მცირე დოზით მარიხუანის შენახვა სისხლის სამართლის დასჯად ქმედებად აღარ ითვლება.

ინტერნეტში კი პრეზიდენტის ქალიშვილის ქმედება მის „ახალ დაცემად“ მონათლეს. „ძველი დაცემა“ კი იყო გოგონას მიერ იმავე ფესტივალზე შესრულებული ეროტიკული ცეკვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლონდონში ნუდისტებისთვის სოლარიუმი გაიხსნა

ლონდონის ცენტრში სახლის სახურავი მზის აბაზანების მისაღებად მოაწყვეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ნუდისტებისთვის განკუთვნილი სოლარიუმი იმისთვის გაიხსნა, რომ მოქალაქეებს აგვისტოს სიცხის გადატანაში დაეხმაროს. ტერასაზე მოაწყვეს კოქტეილების ბარი, დადგეს შეზლონგები და აქ დასვენების მსურველებს სვინგბოლის თამაშს სთავაზობენ.

სახურავიდან იხსნება პანორამული ხედი ბიგ-ბენზე, ბორბალზე სახელწოდებით „ლონდონის თვალი და ვესტმინსტერის სააბატოზე.

რუფტოპს შემოდგომის ამინდების დადგომისთანავე დახურავენ.

ბელა ჰადიდი კიმ კარდაშიანის დასთან ერთად ისვენებდა

სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც ის კაილი ჯენერთან, კიმ კარდაშიანის დასთან ერთად ისვენებს ბაჰამის კუნძულზე. გოგონები მეგობრებთან ერთად იქ კატერებით ჩავიდნენ.

გოგონებმა ასე აღნიშნეს ბაჰამის კუნძულებზე ჯენერის დაბადების დღე, რომელსაც 19 წელი შეუსრულდა. ამ მოვლენის ამსახველი კადრები სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე იუბილარმაც გამოაქვეყნა.

გოგონებთან ერთად კუნძულებზე კაილის და, მოდელი კენდალ ჯენერიც იმყოფებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხელი



1. თაღი; 2. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 3. ბრინჯის არაყი; 4. დამხმარე თეორემა; 5. მდინარე საფრანგეთში; 6. ფულის ან ქაღალდის შეკვრა; 7. ბერძენთა ცისარტყელას ქალღმერთი; 8. ოცკაპიკიანი (ძვ.); 9. ერთუჯრედიანი ცხოველი; 10. ერთხმიანი საოპერო ნაწარმოები; 11. პირველი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემა; 12. ბაქტერია; 13. პატარა სარწყავი არხი; 14. ხეთების მთავარი ქალღმერთი; 15. სიმებიანი საკრავი; 16. ... კვალიაშვილი; 17. ... შარიფი; 18. შებოლილი ძეხვი; 19. მდინარე იტალიაში; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 21. მუხის ნაყოფი; 22. ქალაქ თებეს მეფე ბერძნულ მითოლოგიაში, დედა რომ შეირთო ცოლად; 23. მკვეხარა; 24. ტრამვაის წინამორბედი; 25. საგრილობელი; 26. ბერძნული ანბანის ასო; 27. სამეურნეო ნაწილის გამგე; 28. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში; 29. ტექნიკის რაიმე დარგის სპეციალისტი; 30. მცენარეული შხამი; 31. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 32. მათემატიკური მუდმივა (3.14); 33. ... ვალონე; 34. გეომეტრიული სხეული; 35. ჯარი, ლაშქარი (ძვ.).

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუმუსი; 2. კივი; 3. არბიტრაჟი; 4. ენდრო; 5. შინშილა; 8. თუთუნი; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. „ჰეინიკენი“; 6. კრიჟანგი; 7. მზითევი; 9. ბრაილი; 10. ხოტი; 11. „სუფრული“; 13. „თეთრა“; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. ბარიერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფაგი; 2. გაუდი; 3. ერაყი; 5. შანხაი; 6. ტრომბონი; 9. ივანიშვილი; 10. „ცოლიკაური“; 11. რენესანსი; 14. ფრი; 16. ბეკინა; 18. „აიდა“.

თარაზულად: 1. ფლეგმა; 4. ტაშკენტი; 7. ნუტრია; 8. ყარსაღი; 12. „ვალიო“; 13. ოფორტი; 15. „ლინატე“; 17. თვე; 19. „მანდარინები“; 20. „სიმდი“; 21. მარულა.

ასტროპროგნოზი
15 აგვისტოსთვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველი ნახევარი იღბლიანია ახალი ურთიერთობების დასაწყებად. საღამოს პარტნიორთან კონფლიქტს ელოდეთ. **კურო** – კრიტიკული დღეა. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედად იყავით. იოლად ნურავის მიენდობით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები თამამად მიიღეთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა მოულოდნელად გამგზავრება მოგიხდეთ. ინტიმურ სფეროში აქტიურობას პლანეტები არ გირჩევენ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი კომერციული საქმიანობა დაუშვებელია. საყვარელ ადამიანთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **ქალწული** – ახალი სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას შეცვლის. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **სასწორი** – გადახედეთ სამომავლო გეგმებს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ბავშვების ინტერესები გაითვალისწინეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ. შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს ნუ იტყვით. **თხის რქა** – იღბლიანი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, ასევე საპირისპირო სქესთან ურთიერთობისათვის. **მერწყული** – სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან თავი შეიკავეთ. სუფთა ჰაერზე გასეირნება სასიკეთოდ წაგადგებათ. **თევზები** – კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისათვის. ოჯახურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

განცხადება

2016 წლის 7 ოქტომბერს, 12 საათზე, ქ.ოზურგეთის მუნიციპალური გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის: ქ.ოზურგეთი, მერაბ კოსტავას №1 გაიმართება ოზურგეთის მუნიციპალური გამგეობის სოფელ მერიაში მდებარე ი.მ. „შოთა მარგალიტაძის“ კერამიკული აგურისა და საფასადე ფილების წარმოების დაგეგმილი საქმიანობის პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

სოფელ მერია, შოთა მარგალიტაძე,
599-43-04-88; 599-70-80-55.
shota776@hotmail.com; makich62@mail.ru.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი:
დავით მაყაშვილი, 599-70-80-55,
შოთა მარგალიტაძე, 599-43-04-88.

ადმინისტრაცია

„ჯემ ფესტზე“ ირანელი ტურისტი გარდაიცვალა

ელექტრონული მუსიკის ფესტივალ „ჯემ ფესტზე“ ირანელი ტურისტი გარდაიცვალა. ანაკლიაში გამართული ფესტივალი გრემის მფლობელმა გერმანელმა დიჯეი პოლ ვან დაიკმა გახსნა. ფესტივალის ფარგლებში შეკრებილი მსმენელისთვის 100-მდე შემსრულებელი წარდგება. მათ შორის არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მუსიკოსებიც.

ფესტივალს, ადგილობრივებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტებიც ესწრებიან. მათგან ერთ-ერთი, ირანელი ტურისტი, ანაკლიაში გარდაიცვალა. ადგილობრივების განცხადებით, მან ჯერ გონება დაკარგა, შემდეგ კი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რა გახდა ირანელი ტურისტის გარდაცვალების მიზეზი, ამ საკითხზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა.

ბექა გოჩიაშვილი: „სამშობლო მოხუცი მშობელივითაა, რომელსაც მოვლა და სიცოცხლის შენარჩუნება უნდა“

ამერიკაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი ჯაზპიანისტი ბექა გოჩიაშვილი თითოეულ ქართველს სამშობლოს მოვლასა და სიცოცხლის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს:

– სამშობლო მოხუცი მშობელივითაა, რომელსაც მოვლა და სიცოცხლის შენარჩუნება უნდა და, რა თქმა უნდა, ეს ერთხელ არ კეთდება.

მთელი ცხოვრება ვალდებულია ყველა თაობის ადამიანი, რომ ემსახუროს თავის ქვეყანას, ერთგულად და ვაჟკაცურად. ეს მუზეუმი და მარტო ვიზუალური სილამაზე არ არის, ცოცხალი რამეა. გაგზარდა და მოგცა ისეთი სიყვარული, რასაც ქვეყნის სიყვარული ჰქვია, რის გარეშეც ობოლი ხარ. ამიტომ, რომ არ დავობლდეთ, პირველ რიგში, არ უნდა დავობლდეთ მტრისგან გადმოგდებული ძვლით (არა მტერთან კოლაბორაციას!).



ჩვენს მხრებზეა ეს პასუხისმგებლობა. მძიმე, რთული, შრომატევადი, მაგრამ გამარჯვების მომტანი. ეს პროცესი და უნარი არასდროს არ უნდა დამთავრდეს. გამარჯვებაც თუ პროცესად არ აღვიქვით, ესეც ოდესღაც გაჩერდება და დამარცხებაში გადაიზრდება.

დიდი ხანი შემიძლია ამ თემაზე ვილაპარაკო, მაგრამ ახლა მოვრჩით კონცერტს და ჯემ-სეიშენზე დასადუღებლად მივდივართ მე და ჩემი ძმები, ამიტომ ასე დავასრულებ: „არასოდეს დანებდე!“

„ერისიონის“ კონცერტი უკმაყოფილო მაყურებელმა დატოვა



ანსამბლმა „ერისიონმა“ ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ საქართველოში თავისი ლეგენდარული შოუ „ქართული ლეგენდა“ წარმოადგინა. კონცერტი ახლადგახსნილ ბლექ სი არენაზე გაიმართა.

როგორც რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა განაცხადა, კონცერტი მისთვის იმდენად უინტერესო აღმოჩნდა, რომ პირველი განყოფილების შემდეგ საკონცერტო დარბაზი დატოვა.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა ანსამბლის ცეკვები ემოციისგან დაცლილ, გაცრეცილ და გამოშიგნულ ქართულ ცეკვას შეადარა:

– გაცრეცილი, გამოშიგნული, ემოციისგან დაცლილი ქართული ცეკვა, უკონცეფციო განათებით, სტანდარტულ უზორებს, წრეებს, კლაკნილებსა და ჭიანჭველებს რომ ვერ გასცდა მხატვრული გამნათებლის ფანტაზია, პირველივე ნომერზევე დაღლილი არტისტებით, ცეკვას რომ გამადლიან, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დროში დაკარგული ქორეოგრაფიული კომპოზიციებით... აი, ეს არის დღევანდელი „ერისიონი“.

ლაშა ჩხარტიშვილი ბლექ სი არენას მენეჯმენტსაც უწუნებს და მოუწოდებს, საკონცერტო დარბაზში მისულ მაყურებელს მეტი კომფორტი შესთავაზოს:

– ბლექ სი არენა – 0,50 ლ წყალი 2 ლარი, მაგრამ თბილი. საღამოს კონცერტი რომ გაქვს, შეყარე დილით მაცივარში. ტუალეტები ხელსახოცების გარეშე. ესეც შენი ქართული მენეჯმენტი. არ ვართ ღირსი არაფრის!

მაია დარსმელიძე: „მე არ მინდა, მერქვას გრუზია!“

– მე არ მინდა, მერქვას გრუზია! – ასეთ განცხადებას აკეთებს მუსიკოსი და მომღერალი მაია დარსმელიძე და კონკრეტული და უკომპრომისო მოქმედებების საჭიროებაზე საუბრობს:

– არასოდეს ვყოფილვარ ვინმეს საკუთრება და 2012-ში ნაციონალებზე კარგი, აქ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კარგს ვგულისხმობ, ქვეყნისთვის რომ მოსულიყო მთავრობაში, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, საჯაროდ დავუჭერდი მხარს.

მე ვიცოდი, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყნის გასანადგურებლად მოვიდა და არაფრის დიდებით არ დავდგებოდი ჩემი ქვეყნის მტრების მხარეს.

დღეს ბევრმა „გამოიღვიძა“, მათ შორის, ჩემს ფრენდლისტში ყველაზე „აპოლიტიკურმა“ ტიპებმაც. მიხარია, რომ ამ მარაზმმა გაგვაერთიანა, მაგრამ მხოლოდ გაბრაზებული პოსტები არ კმარა. მოქმედებაა საჭირო. კონკრეტული და უკომპრომისო. მე არ მინდა, მერქვას გრუზია!

ტაო-კლარჯეთში ქართული ციხე-სიმაგრე დაანგრიეს

ტაო-კლარჯეთში შუა საუკუნეების ქართული ციხე-სიმაგრე დაანგრიეს. ინფორმაციას ისტორიკოსი ბუბა კუდავა ავრცელებს:

– სამწუხარო ამბავი ტაო-კლარჯეთიდან. ნიხახი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი სასაზღვრო პუნქტი იყო. მდებარეობდა ჭოროხის პირას და სამხრეთიდან მომავალ მტერს ერთ-ერთი პირველი ხვდებოდა.

აქ ბოლო პერიოდამდე შემორჩენილი იყო ციხე-სიმაგრე და ეკლესიის ერთადერთი, ჩრდილოეთის კედელი, რომელიც თაღებით ლამაზად იყო გაფორმებული. ძველი ნიხახის ადგილას დღეს სოფელი იოქუშლუა.

ახლახან მისულებს იქ ის ერთი კედელიც არ დაგვხვდა. დაუნგრევიათ გზის გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაოების გამო. ისტორიული ძეგლის ხელყოფა ხომ დანაშაულია, ცხადია, თურქული კანონმდებლობითაც, მაგრამ პრაქტიკულადაც არ უშლიდა ხელს გზის გაფართოებას...

კიდევ ერთი მაგალითი, რა საშურია ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლების დროული ფიქსაცია...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ახალ ზელანდიაში პოლიციელებმა სელაპის ნაშიერი დაიჭირეს

ახალი ზელანდიის ქალაქ ველინგტონში პოლიციელებმა ავტოსადგომზე სელაპის ნაშიერი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ფეისბუქში საკუთარ გვერდზე პოლიციის საოლქო განყოფილება ავრცელებს.

პატარა ცხოველი ავტოსადგომზე გაჩერებული ავტომობილის ქვეშ შენიშნეს. სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა სამართალდამცავებს განუცხადა, რომ ცხოველი მას არ ეკუთვნის. გარკვეული დროის შემდეგ ცხოველს გარემოს დაცვის ადგილობრივი დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიაკითხეს. პატარა სელაპს, რომელსაც სახელად სტივი დაარქვეს, ველურ ბუნებაში დააბრუნებენ.

თუ როგორ აღმოჩნდა სელაპი სტივი ავტომობილის ქვეშ, უცნობი დარჩა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კანის პლაჟებზე ბურკინი აკრძალეს

საფრანგეთის ქალაქ კანის ხელისუფლებამ ადგილობრივ პლაჟებზე ბურკინიში – ქალებისთვის განკუთვნილ სპეციალურ საცურაო კოსტიუმში გამოჩენა აკრძალა. ის მთლიანად ფარავს ქალის სხეულს, დაწყებული თავიდან, ფეხის ტერფებამდე.

კანის მერმა დავიდ ლისნარმა განმარტა, რომ ამგვარი ჩასაცმელი არ შეესატყვისება სეკულარიზმის პრინციპებს და შეესაბამება ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვის ნორმებს. ასევე მისი თქმით, ტანსაცმელი, რომელიც ხაზს უსვამს რელიგიურ აღმსარებლობას, შესაძლოა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მიზეზად იქცეს. ბრუკინის ტარებისთვის დაწესებულია ჯარიმა 38 ევროს ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ეს აკრძალვა დაწესდა იმ ტერაქტების ფონზე, რომლებიც განხორციელდა 15 ივლისს ნიცაში და 26 ივლისს ქალაქ სენტ-ეტიენ-დიუ-რუვრის ეკლესიაში.

ამერიკელმა მეთევზემ უიშვიათესი ლურჯი ომარი დაიჭირა

აშშ-ის ნახევარკუნძულ კეიპ-კოდის სანაპიროსთან მეთევზემ უიშვიათესი ლურჯი ომარი დაიჭირა. მამაკაცმა ის სხვა მის მიერ დაჭერილ კიბორჩხალებს შორის აღმოაჩინა.

ამერიკელი მეთევზე აპირებს, ლურჯი ომარი ადგილობრივ ოკეანარიუმს გადასცეს. ომარის წონა ერთ კილოგრამამდე აღწევს.

აღსანიშნავია, რომ უეინ ნიკერსონი ომარების დაჭერით ბოლო 35 წლის განმავლობაში ირჩენს თავს. მისი მეუღლის თქმით, პირველად მის ბადეში ლურჯი ომარი 1990 წელს აღმოჩნდა.

გავრცელებული ინფორმაციით, კიბორჩხალისნაირები ლურჯ ან ცისფერ შეფერილობას გენეტიკური ცვლილების შედეგად იღებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ზურაბ ჭელიძე, შვილები სანდრო და გიორგი, რძლები ანა და თეა, დედმამიშვილები ნოდარ და ანიკო ტყეშელაშვილები, ნათესავები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან ტყეშელაშვილი

პანაშვიდი: 15 აგვისტოს, ატენის 18ა, II სადარბაზო, IX სართული.

გამოსვენება: 16 აგვისტოს, 14 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ოთხშაბათი 15 აგვისტო

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00, 10.10** ოლიმპიადა – "რიო **2016**" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრ ვებრინე** **14.00** "პირადი ექიმი" **15.00** "ფერმა" **15.30** "სიტყვების თამაში" **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00, 20.50** ოლიმპიადა – "რიო **2016**" **07.00** პროგრამის დახურვა

08.00 დ/ფ "სუფრაჟისტები" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** დ/ფ "მარი კიური" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. ტ/სერ. "**ეკას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**დოგბე და ვაჟი**" **16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **16.30** დ/ფ "მეფის მუმიის სიდუმლო" **17.20, 21.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური -"ათენიდან ათენამდე" **22.00, 23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **00.25** მხ/ფ "**სუფთა ფურცელი**"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00, 14.40** სერ. "**ფიცი**" **08.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.20** ცეკვავენ ვარსკვლავები **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** " **23.00** სერ. "**სპარტაკი**" **2**" **2** სერ. **00.00, 02.15, 04.15** მხ/ფ

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 12.30** სერ. "**გაბრიელა**" **08.45, 09.15** სერ. "**ინდიანა ჯონსის მეშეკვიდრეები**" **1**სერ. **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **15.55** სერ. "**ქარადა - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ქ.მხ/ფ "**ღამის ვიზიტი**" **1-2** სერ. **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "**აპატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 1.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 3.00** სერ. "**ძალები**" **15.00** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**ზღვარზე**" **23.45** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

06.15 ღვთის სახლი "ყინწვისი" **06.25** პატერიკი-ვინ არის სამყაროს შემოქმედი **06.30** დ/ფ "ვარძია" **06.55** ქართული ალბომი "ინტონაციები წინაპართა სახლში-შარაშიძეები" **07.45** ჩვენი საგანძური "წმინდა ნინო ემბაზი ქართლისაი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" კოლაჟი. **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ფიროსმანი**" **13.30** დ/ფ "საქართველო XVI საუკუნე" **14.20** საყმაწვილო ენციკლოპედია **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში "მერაბ კოკოჩაშვილი" **15.45** სპექტაკლი "ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" **17.25** კვირიაკის სიუჟეტი "ვაშლოვანი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ჯვრისა და ხატის კურთხევა **18.05** დ/ფ "რკონი" I. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **20.40** ძილი ნებისა "იყო ერთი თაგუნა" **21.25** პატერიკი-მაზიარებელ ადამიანს ბოროტისაგან უფალი იცავს **21.35** საეკლესიო აღშენებლობა "წილკნის ღვთისმშობლის ტაძარი" **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-ესაია II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ნემსაძეები" **23.40** გამოყენებითი ხელოვნება "თოჯინები-ნანა ბედიაშვილი" **00.25** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ეთერ ჭყონია" **01.00** მხ/ფ "**ეს მწვანე სახურავების მამულიდან**" **1** სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკოსი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკოსი**" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ჯადოქარი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფრონიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3398

ევრო — 2.6096

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0319

100 რუსული რუბლი — 3.6197

ამინდის პროგნოზი 15 აგვისტოსთვის

16 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი
ყმაწვილი
ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

19 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი
ყმაწვილი
ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

„მის ბუმ-ბუმის“ მონაწილეებმა სან-პაულუში ქუჩაში საცობი გამოიწვიეს

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს მთავარ ქუჩაზე კონკურსის „მის ბუმ-ბუმის“ 27-მა მონაწილემ 100 მეტრიანი გარბენი მოაწყო, რის შედეგადაც ქუჩაში ავტომობილების საცობი წარმოიშვა.

გოგონებს ამ ღონისძიების დროს მხოლოდ ნარინჯისფერი ბიკინები ეცვათ და ეკეთათ ბაფთები, რომლებზეც მითითებული იყო, თუ ქვეყნის რომელ შტატს წარმოადგენდნენ. ასეთი სახით აღნიშნეს მოდელებმა კონკურსის დაწყება, რომლის ფინალიც მიმდინარე წლის ნოემბერში შედგება.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში კონკურს „მის ბუმ-ბუმის“ გამარჯვებული დიდი პოპულარობით სარგებლობს და ისინი მილიონობით დოლარს გამოიმუშავებენ სამოდელო სააგენტოებთან კონტრაქტების გაფორმებით.

ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან გადარჩენილმა ინდოელმა მილიონი დოლარი მოიგო

ინდოელმა მამაკაცმა მილიონი დოლარი მოიგო ლატარიაში მას შემდეგ, რაც ცეცხლწაკიდებულ თვითმფრინავს თავი დააღწია, რომელმაც დუბაის აეროპორტში ავარიული დაშვება განახორციელა.

62 წლის მოჰამედ ბაშირ აბდულ ჰადარი საავტომობილო სადილერო ცენტრში მუშაობს. მან ლატარიის ბილეთი დუბაის აეროპორტში შეიძინა, რის შემდეგაც თვითმფრინავით ინდოეთის ტრივანდრამში გაემგზავრა დასასვენებლად.

უკან დაბრუნების დროს მისმა თვითმფრინავმა დუბაის აეროპორტში ექსტრემალური დაშვება განახორციელა, რის შემდეგაც საჰაერო ხომალდს ცეცხლი გაუჩნდა. მამაკაცმა მშვიდობიანად დააღწია თავი ალმოდებულ თვითმფრინავს, ხოლო მომხდარიდან ექვსი დღის შემდეგ შეიტყო, რომ ჯეკპოტი მოხსნა. ჰადარის თქმით, ის მოგებულ თანხას ინდოეთის კერალას შტატის სოციალურად დაუცველ ბავშვებს გადაურიცხავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

გოგონა დედას ეუბნება:

– დედა, ალბათ, ჩემს მეგობარ ბიჭს დავშორდები.

– რატომ, შვილო?

– მგონი, ალკოჰოლიკია.

– რატომ ფიქრობ მასე?

– გუშინ ვალსს ვცეკვავდით და, რომ მიმიზიდა, ვიგრძენი, შარვალში ბოთლი ედო.

– დაახლოებით რა ზომის იქნებოდა?

– ალბათ, 0,7-იანი.

– შვილო, კი არ უნდა დაშორდე, ცოლად გაჰყევი, მე მთელი ცხოვრება ორასგრამიანთან გავატარე.

●●●

რჩევა მამაკაცებს:

– თუ გინდათ, რომ თქვენმა ცოლმა თქვენს თითოეულ სიტყვას ყური დაუგდოს, ძილში ილაპარაკეთ...

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს:

– ალო! ძვირფასო, შეგიძლია დამელაპარაკო?

– შემიძლია.

– მაშინ მომისმინე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ცუდია უქალობა.

– თუ უქალობა ცუდია, მაშინ ეს კარგია.

– ეს როგორ?

– ცუდი მაშინ იქნება, თუ უქალობა კარგი იქნება.

●●●

ბიჭი გოგონას უკან მიჰყვება, ბოლოს მხნეობას მოიკრებს, წამოეწევა და ეუბნება:

– გოგონა, შეიძლება, გავიცნოთ ერთმანეთი?

გოგონა მოტრიალდება და უპასუხებს:

– არა!

– ოჰ... მადლობა ღმერთს!

●●●

ცოლ-ქმარი ავტობუსით მგზავრობს და ქალი ქმარს საყვედურებით ავსებს:

– ნამდვილი მექალთანე ხარ, არცერთ კაბიანს არ უშვებ ხელიდან.

ამ დროს გვერდით მდგომი ქალი ეკითხება:

– მაპატიეთ, თქვენ მას ეჩხუბებით თუ რეკლამას უკეთებთ?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ კონიაკი წამლად აღიარეს?

– არა, და მერე რა?

– რა და გამოდის, რომ მე ღოთი კი არ ვარ, მთელი ცხოვრება ვმკურნალობ.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დღეს ჩვენი დაქორწინების დღეა და მის აღსანიშნავად გოჭს ხომ არ დაკლავდი?

– რატომ უნდა დავკლა? იმ საცოდავს ბრალი არ მიუძღვის...

●●●

გოგონები გამხდრები თხოვდებიან, რათა მეუღლის სახლში ადვილად შევიდნენ, მაგრამ წლების შემდეგ სუქდებიან, რათა იქიდან მათი გამოდევნა გაჭირდეს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენ ბუნებით ვინ ხარ, ტოროლა თუ ბუ?

– დათვი ვარ.

– ეგ როგორ?

– აბა ერთი ცადე და შემეხე, როცა მძინავს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

12 აგვისტოდან

თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ქართული დელეგაცია ოლიმპიადას ძიუდოისტების მწირი მონაგრით აგრძელებს

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ოლიმპიური თამაშები ორი მედლით: ვარლამ ლიპარტელიანის (90 კგ) ვერცხლითა და ლაშა შავდათუაშვილის (73 კგ) ბრინჯაოთი დაასრულა.

ბოლოს საპრიზო სამეულები ქალთა და მამაკაცთა უმძიმეს წონით კატეგორიებში შეივსო. საქართველოს სახელით კი ბრაზილიურ ტატამზე ადამ ოქრუაშვილი გავიდა. ევროპის შარშანდელი ჩემპიონი პირველსავე წრეში იაპონელ ჰისაიოში ჰარასავას დაუპირისპირდა და უილეთო შეხვედრაში ერთით მეტი გაფრთხილების (1:2) გამო დამარცხდა. ჰარასავა ფინალამდე ვერავინ შეაჩერა. იქ კი თანამედროვე მსოფლიო ძიუდოს სუპერვარსკვლავს – ფრანგ ტედი რინერს შეხვდა და უკვე თავად მიიღო მეტოქესთან შედარებით ერთით მეტი გაფრთხილება.

ოლიმპიადაზე დაასრულა გამოსვლა ბატუტზე მხტომელმა ლუბა გოლოვინამ. ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 98,285 ქულა დააგროვა და 16 მონაწილეს შორის მე-7 შედეგი აჩვენა. ფინალის საგზური კი 8 საუკეთესომ მოიპოვა.

გადამწყვეტ ეტაპზე გოლოვინამ 51,010 ქულა აიღო. ფინალისტთაგან მან მხოლოდ ბელარუს ჰარჩონაკს აჯობა. ოლიმპიური ჩემპიონი კანადელი როსანა მაკლენანი (56,465 ქულა) გახდა. ვერცხლის მედალს ბრიტანელი ბრიონი პეიჯი (56,040) დაეუფლა, ხოლო ბრინჯაოს – ჩინელი დან ლი (55.885).

26 წლის ლუბა გოლოვინასთვის რიო 2016 მესამე ოლიმპიური თამაშები იყო. 2008 წელს პეკინში მე-6 ადგილი დაიკავა, ხოლო 4 წლის წინ ლონდონში – მე-7.

ლუბა გოლოვინა:

– ჩემი ამოცანა მედლის მოპოვება იყო და შედეგით კმაყოფილი არ ვარ. სამწუხაროდ, ჩემი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენაში ხელი რამდენიმე ფაქტორმა შემიშალა. მათ შორის ტრავმამ, რომლის გამოც ბოლო პერიოდში მუდმივად ექიმების ზედამხედველობის ქვეშ ვიყავი. ამას დაემატა მსაჯების არაობიექტურობა. ვფიქრობ, ცოტა უფრო მაღალ შეფასებას ვიმსახურებდი. მადლობა გუნდის სამედიცინო შტაბს და ყველას, ვისი დახმარებითაც აქამდე მოვედი. მადლობა გულშემატკივრებს, მხარდაჭერისთვის.

ოლიმპიურ თამაშებში ქართველი მძლეოსანიც ჩაერთო – ბაჩანა ხორავამ სიგრძეზე ხტომაში საკვალიფიკაციო ეტაპზე 7,77 მეტრი აჩვენა და ბ ჯგუფში 16 მონაწილეს შორის მე-8 ადგილი დაიკავა. ეს შედეგი ხორავას შემდეგ ეტაპზე გასასვლელად არ ეყო.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 5. გაწმენდილი ნატეხი შაქარი; 6. მხნეობა; 8. მრგვალი გუმბათიანი ნაგებობა; 10. ხორბლის სალეწი მანქანა; 11. იაპონელთა ჩასაცმელი; 13. ნიანგის სახეობა; 16. რაიმე საქმეში დახელოვნებული პირი; 18. საპალტოე ქსოვილი; 19. კვესი და ...; 21. გარკვეული ხასიათის როლები; 22. აზოტისა და წყალბადის ნაერთი; 23. ოთახის ძაღლი.

შვეულად: 1. სახელმწიფო აზიაში; 2. გაზაფხულის თვე; 3. ნაძვის მოყვანილობის კრისტალის მონაზარდები; 4. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 7. პირველი მამაკაცი; 9. პატარა მტაცებელი ნადირი; 12. თავის ტვინის ანთება; 14. სახელმწიფო აფრიკაში; 15. სათხილამურო ფეხსაცმელი; 17. მწერჭამია მცენარე; 20. მაჰმადიანთა მოძღვარი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ